პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო.

№ 101 (5202) | ხუთშაბათი, 5 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

პრესა ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველსაათს ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის საჭირო ენაზე. სხვა საშუალება სულიერი ძაფების გაბმისა პარტიასა და კლასს შორის, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს.

ი. სტალინი

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ზეიმი

ბოლშევიკური პრესა, რომელიც შექმნეს პროლეტარული რევოლუციის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა, დღეს შეაჯამებს თავისი განვლილი სახელოვანი შემოქმედებითი ბრძოლის შედეგებს და დასახავს ღონისძიებებს შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან კავშირის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

ბოლშევიკური პრესის ისტორია უაღრესად მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი პარტიის ისტორიასთან.

ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ლენინურმა „ისკრამ“ პარტიის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში.

სახელოვანმა ლენინურ-სტალინურმა „პრავდამ“, რომელიც წარმოიშვა 1912 წელს — რევოლუციური აღმავლობის ეპოქაში, უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიზმისა და მუშათა კლასის ძალთა შემჭიდროვების საქმეში, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის გმირულ ბრძოლებში, დიადი სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე გამარჯვებაში.

მთელი ჩვენი ბოლშევიკური პრესა სწავლობდა და სწავლობს, იზრდებოდა და იზრდება „პრავდის“ საბრძოლო ტრადიციებზე. მაღალი ბოლშევიკური იდეურობა, შეურიგებლობა პარტიისა და მუშათა კლასის მტრებისადმი, რევოლუციის მტრებისადმი, მასებთან ურღვევი და განუყრელი კავშირი, — აი რა ახასიათებს „პრავდას“, რომელსაც მაღლა უჭირავს მარქსიზმ - ლენინიზმის დიადი უძლეველი დროშა.

მსოფლიოში არსად არ არის და არც შეიძლება იყოს ბეჭდვითი სიტყვის ისეთი თავისუფლება, მისი ყოველმხრივი აყვავებისა და განვითარების ისეთი კოლოსალური საშუალებანი, როგორც ეს არის ჩვენში, გამარჯვებული სოციალიზმის დიად ქვეყანაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, ფაშისტურ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყოველგვარი ლაპარაკი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე მშრომელი ხალხის აშკარა, უსირცხვილო მოტყუებაა, რადგან იქ, სადაც ყველაფერი ფულით იზომება, სადაც ყველაფერს კაპიტალი განაგებს, შეუძლებელია იყოს ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილი თავისუფლება. „კაპიტალისტები, — ამბობდა ლენინი, — ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ მდიდრებისაგან ბეჭდვითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ გამოიყენონ სიმდიდრე ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრის ფაბრიკაციისა და გაყალბებისათვის“.

სსრ კავშირის ხალხებმა ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს უდიდესი წარმატებები, რაც ჩაწერილი და საკანონმდებლო გზით განმტკიცებულია დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

სტალინური კონსტიტუციის მე-125 მუხლი ამბობს:

„მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია:

ა) სიტყვის თავისუფლება,

ბ) ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება,

გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება,

დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება.

მოქალაქეთა ეს უფლებანი უზრუნველყოფილია მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის სტამბების, ქაღალდის მარაგის, საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და სხვა მატერიალურ პირობათა მინიჭებით, რომლებიც კი აუცილებელია მათი განხორციელებისათვის“.

1913 წელს მეფის რუსეთში გამოდიოდა მხოლოდ 859 გაზეთი, 1936 წელს კი ჩვენში გამოდიოდა 9.250 გაზეთი 38 მილიონი ტირაჟით. საბჭოთა ქვეყანაში წარმოიშვა მრავალი ისეთი გაზეთი, რომელზედაც რევოლუციამდე წარმოდგენაც არავის ჰქონდა, — ესენია ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებისა და უმაღლესი სასწავლებლების ნაბეჭდი გაზეთები. ახლა სსრ კავშირის თითქმის ყველა რაიონში გამოდის ნაბეჭდი რაიონული გაზეთები, რომელთაგან ბევრი ყოველდღიურია.

ომამდელ პერიოდთან შედარებით უაღრესად დიდია წიგნებისა და ჟურნალების რიცხვის ზრდაც. თუ 1913 წელს წიგნის პროდუქცია შეადგენდა 26.174 ნაბეჭდ ერთეულს 86,7 მილიონი ეგზემპლარით, 1936 წელს წიგნის პროდუქცია სსრ კავშირში უდრიდა 43.348 ნაბეჭდ ერთეულს 571,1 მილიონი ტირაჟით.

აქ მოყვანილი ციფრები საუკეთესო დადასტურებაა ამხანაგ სტალინის სიტყვებისა, რომ: „პრესა უნდა იზრდებოდეს არა ყოველდღიურად, არამედ ყოველ საათობით, იგი ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია“.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს პრესას, — როგორც საქარხნო და რაიონულ, ისე საოლქო და რესპუბლიკურ გაზეთებს, და მათს რიცხვში გაზეთ „კომუნისტს“, ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს თავის მუშაობაში.

„ჩამორჩენილი გაზეთი მკვდარია. გაზეთი უნდა მიდიოდეს ყველაზე წინ“, — გვასწავლიდა ლენინი. ფაქტია, რომ ბევრი ჩვენი გაზეთი ვერ აკმაყოფილებს დიდი ლენინის ამ მოთხოვნას, რადგან ჩამორჩება საბჭოთა მკითხველის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნებს.

სამართლიანად აღნიშნავდა ამხ. ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე:

„... ჩვენს პრესაში ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ცალკეული პოლიტიკური დამახინჯებანი. ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ადგილი ჰქონდა მლიქვნელობის, ბაქიობის ელემენტებს, რაც უცხოა ბოლშევიკური პრესის ტრადიციებისათვის. სუსტად არის გაშლილი ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ნაკლოვანებათა კრიტიკა. გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების ენა, სტილი და მხატვრული გაფორმება ზოგჯერ დაუდევარია“.

ბევრს საბჭოთა ჟურნალისტს ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო პოლიტიკური და კულტურული განათლება, ჯერ კიდევ დაბალია მათი საერთო ცოდნის დონე, რასაც თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ხალხის მტრები.

ფაშიზმის აგენტები — ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალები ზოგჯერ ახერხებდნენ გამძვრალიყვნენ ჩვენი გაზეთების რედაქციებში, სადაც ეწეოდნენ თავიანთ მავნებლურ მუშაობას. უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების გასაწმენდად ხალხის მტრებისაგან. მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ბოლშევიკური პრესის ფრონტზე მუშაობდნენ მხოლოდ სავსებით შემოწმებული და ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

დღევანდელი დღე უნდა გადაიქცეს გარდატეხის მომენტად ბოლშევიკური პრესის ყველა რგოლის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა გაზეთის ფურცლებზე, კიდევ უფრო უნდა დავუახლოვდეთ ფართო მასებს და ვისწავლოთ მათგან. ამასთან, აუცილებელია გავამაგროთ რედაქციები უნარიანი და შემოწმებული კადრებით, ავამაღლოთ გაზეთის მუშაკთა პოლიტიკური მომზადების დონე, დავეუფლოთ ბოლშევიზმს, დავამყაროთ ბოლშევიკური წესრიგი სარედაქციო - საგამომცემლო და პოლიგრაფიულ მეურნეობაში.

„საჭიროა უზრუნველვყოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობა პრესისადმი, საჭიროა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების თვით პირველი მდივნები პირადად მუშაობდენ პრესის საკითხებზე. უნდა ავამაღლოთ რედაქტორთა როლი, დავუახლოვოთ ისინი ხელმძღვანელობას“ (ბერია).

მიმდინარე წელს პრესის დღე ტარდება ისეთ პირობებში, როცა ჩვენი გაზეთების წინაშე უაღრესად რთული და პასუხსაგები ამოცანები დგანან. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები, ბრძოლა საგაზაფხულო თესვის წარმატებით დამთავრებისათვის — აი ის საკითხები, რომლებიც ახლა ჩვენი გაზეთების ყურადღების ცენტრში უნდა იდგნენ.

ეჭვი არ არის, რომ ბოლშევიკური პრესა, — ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი, გამოჭედილი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლის ქარცეცხლში, შემდეგშიც მაღლა დაიჭერს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად დროშას და მის გარშემო კიდევ უფრო შეამჭიდროვებს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მილიონიან მასებს.

საბერძნეთის ახალი ელჩის ჩამოსვლა

2 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა საბერძნეთის ახალი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი მარკეტი.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ მარკეტის შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი და საბერძნეთის მისიის მთელი შემადგენლობა საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ კინდინისის მეთაურობით. (საკდესი).

1938 წლის 5 მაისს, საღამოს სრულ 7 საათზე, წითელი არმიის სახლში (რუსთაველის პროსპექტი, № 10), მოწვეულია

პარტიულ - კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრება პრესის მუშაკებთან ერთად.

კრებაზე მოსმენილი და განხილული იქნება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის ამხ. ვ. ხატიაშვილისა და „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ამხ. ვ. გრიგორიანის მოხსენებები.

მოწვეულ ამხანაგთა დასწრება სავალდებულოა.



ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი „პრავდის“ რედაქციაში 1917 წელს. ნახატი მხატ. ვასილევისა.

(ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი). „სოიუზფოტო“.

საპირველმაისო პარადის მონაწილეთა მიღება კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ

კრემლის დიდ სასახლეში 2 მაისს სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებმა მიიღეს საპირველმაისო პარადის მონაწილენი.

კრემლის სასახლის ვეებერთელა დარბაზებში 18 საათისათვის შეიკრიბნენ საპირველმაისო პარადის მონაწილენი: მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველა ხარისხისა და ყველა სახის ჯარების მეთაურები, პოლიტმუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომელთაც წინა დღით მოახდინეს დიადი საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ძალების შეურყეველი ძლიერების დემონსტრაცია.

18 საათსა და 30 წუთზე გიორგის დარბაზში გამოჩნდნენ ამხანაგი სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, ჩუბარი, მიქოიანი, ეჟოვი. მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ დამსწრენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. გრგვინვისებური წითელარმიული „ურას“ ძახილით მიესალმნენ დამსწრენი ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და მის უახლოეს თანამებრძოლებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით სახელოვან მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს — საპირველმაისო პარადის მონაწილეთ, — მიესალმა თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი. პირველი თავისი სიტყვა ამხანაგმა ვოროშილოვმა მიუძღვნა მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

მიმართავს რა შეკრებილთ, ის ლაპარაკობს:

— მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ გუშინ მოახდინა თავისი ძლიერების ორგანიზებულობის, თავისი მაღალი ბრძოლისუნარიანობის დემონსტრაცია არა მარტო ჩვენი საბჭოთა კავშირის დედაქალაქის წითელ მოედანზე, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოლქების სხვა ქალაქების მოედნებზედაც. როგორც წინათ, წითელმა არმიამ გვიჩვენა გუშინ თავისი სრული საბრძოლო მზადყოფნა, გვიჩვენა, რომ მას შეუძლია ყოველ წუთში საქმის კვალიფიციური ცოდნით დაჰკრას მტერს.

ამხანაგ ვოროშილოვის ამ სიტყვებს ჰფარავს სალამოზე ყველა დამსწრეთა მქუხარე ტაში.

ამის შემდეგ ამხანაგი ვოროშილოვი ლაპარაკობს ჩვენს დიდ, მშვენიერ და ჯერჯერობით მთელ მსოფლიოში ერთადერთ საბჭოთა ხალხზე, რომელსაც ასე მხურვალედ უყვარს თავისი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ყველაფერს აკეთებს მათი ძლიერებისა და უძლეველობისათვის.

ამხანაგ ვოროშილოვის სიტყვებს, რომლებიც მან მიუძღვნა სახელოვან სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, ყველა მშრომელისათვის უახლოესსა და გასაგებ დიდ სტალინს, მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციებით ეგებება. ხანგრძლივი ტაშით, შეძახილებით — „ურა ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სტალინს!“, „სალამი მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!“, — კრემლში მიღების დამსწრენი გამოხატავენ მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის აზრებსა და გრძნობებს.

ყველა დამსწრეთა მქუხარე და აღტაცებული ტაშის გრიალში ამხანაგმა ვოროშილოვმა გადასცა სალამი მუშურ-გლეხური წითელი არმიისაგან საბჭოთა მთავრობის მეთაურს — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.

ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხანაგი მოლოტოვი, რომელიც მხურვალედ მიესალმა ყველა სახის შეიარაღების და ჯარების მებრძოლებს, მეთაურებს, უფროსებსა და მეთაურთა მეთაურს კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვს. დიდხანს არ სწყდება მქუხარე ოვაცია მთელი დარბაზისა წითელი არმიის ბელადის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის პატივსაცემად.

მიღების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ბარსოვა და რეიზენი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კოზლოვსკი, მიხაილოვი, ნორცოვი, ობრასცოვი, დიდი თეატრის ბალეტის სოლისტები ლეპეშინსკაია და რსფსრ დამსახურებული არტისტი ერმოლაევი, სრულიად საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები პიანისტი ფლიერი და ვიოლინისტი გილელსი, ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალური სახლის ბალალაიკის დამკვრელთა წითელარმიული ორკესტრი და ჯაზ-ორკესტრი უტიოსოვის ხელმძღვანელობით. (საკდესი).



ტიკსის ბუხტიდან, 1938 წლის 28 აპრილი, კრემლი

ამხანაგებს — სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, ეჟოვს, მიქოიანს

პატაკი

თქვენი დავალება მოდრეიფე ყინულმჭრელებიდან: „სადკო“, „სედოვი“, „მალიგინი“ — ადამიანთა გადმოყვანის შესახებ შესრულებულია ალექსეევის ნ—172, გოლოვინის ნ—170 და ორლოვის ნ—171 თვითმფრინავების მიერ. გადმოყვანილია ტიკსში 184 კაცი, ყინულმჭრელებზე დატოვებულია 33 კაცი, რომლებიც მომარაგებული არიან სურსათით, ტანისამოსით და საწვავი მასალით, რაც მათ 2 წელიწადზე მეტს ეყოფათ.

ვამაყობთ თქვენს მიერ მოცემული დავალების შესრულებით.

საჰაერო ხომალდების მეთაურები: **ალექსეევი, გოლოვინი, ორლოვი.**

შტურმანები: **ჟუკოვი, პეტროვი, ბოგერი.**

უფროსი ბორტმექანიკოსები: **სუგრობოვი, ჩეჩინი, ფრუტეცკი.**

პარტორგი — **ერემინი.**

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩეველთადმი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ნათლად ასახავს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად მოპოვებულ მიღწევებს, კომუნისტური პარტიის ურყევ კავშირს ყველა ხალხთან, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის გამარჯვებას.

ჩვენი პარტია ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო უპარტიო მასებთან. პარტიის კავშირი უპარტიო მასებთან ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის საფუძველს. „მასებთან კავშირი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი — ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყური დაუგდოს მასების ხმას, — აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა“. ბოლშევიკების პარტიას მხოლოდ მასებთან მტკიცე კავშირში შეეძლო მოეპოვებინა და კიდეც მოიპოვა უდიდესი გამარჯვებანი კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ამ გამარჯვებებს, მიღწევებს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ფრონტებზე საქართველოს მშრომელი მასები ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ დაათვალიერებენ, იმას, რაც ახლა ჩვენ გვაქვს, შეადარებენ წარსულს, წარმოიდგენენ, რა იყო საქართველო წინათ, წყეული მეფისა და უბადრუკი მენშევიკების ბატონობის დროს, რას მიაღწია მან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ცენტრალური კომიტეტის ეს მიმართვა საქართველოს მშრომელ მასებს ნათლად და გარკვეულად უჩვენებს, რომ ძველად საქართველო მეფის მთავრობის საწველ ფურად იყო გადაქცეული, რომ

„საქართველოს მშრომელნი ჰგმინავდნენ კოლონიური ჩაგვრისა და ბურჟუაზიულ - მემამულური ექსპლოატაციის ორმაგი უღლის ქვეშ.

ახლა კი საბჭოთა საქართველო წარმოადგენს აყვავებულ რესპუბლიკას, განვითარებული სოციალისტური მრეწველობითა და მოწინავე სასოფლო მეურნეობით...

განუხრელად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი. წლითიწლობით მატულობს კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულება. საქართველოს ათეული კოლმეურნეობები მილიონერები გახდნენ. კოლმეურნეთა ფართო მასები უკვე გახდნენ შეძლებულნი და განაგრძობენ თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ განმტკიცებას.

ამჟამად მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციაში არავის არ შეიძლება გააჩნდეს ნასახიც კი ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობისა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის წინაშე გადაშლილია თავისი შრომის, თავისი შემოქმედებითი ძალების გამოყენების ფართო შესაძლებლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყოველ სარბიელზე.

შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ ახლა საბჭოთა საქართველოს ხალხები“.

ეს გამარჯვებები მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), განუხრელად ასრულებდა რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია ხალხის მტრებთან ბრძოლაში. კომუნისტურმა პარტიამ გამოამჟღავნა და მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასებს აჩვენა საზიზღარ ტროცკისტ-ბუხარინელ-რიკოველების კონტრრევოლუციური მოქმედებანი: რომ საზიზღართა შორის ეს უსაზიზღრესნი ცდილობდნენ ჩვენში კაპიტალიზმის აღდგენას და მშრომელთათვის მონობისა და უუფლებობის მძიმე უღლის დადგმას. ხალხის გამომჟღავნებულმა მტრებმა დამსახურებული პასუხი მიიღეს.

ერთა შორის შუღლის ნაცვლად, რაც მეფისა და მენშევიკების დროს საქართველოში იყო გამეფებული, ახლა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ხალხთა ძმური ოჯახი დამკვიდრდა. სამუდამოდ ლიკვიდირებულია ხალხთა ურთიერთ უნდობლობა.

მსოფლიოში არცერთ პარტიას არ შეეძლო მიეცა ხალხისათვის ის, რაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კომუნისტურმა პარტიამ მისცა. არცერთ პარტიას არ შეუძლიან სარგებლობდეს ხალხის ისეთი სიყვარულით, როგორითაც ბოლშევიკური პარტია სარგებლობს. არცერთ პარტიას არ შეეძლო ხალხის ისეთი მორალური და პოლიტიკური შემჭიდროვების შექმნა, როგორიც კომუნისტურმა პარტიამ შექმნა. მასების ეს შემჭიდროვება იგრძნობა ყველგან. წინასაარჩევნო კრებები პარტიისა და მასების ურღვევი კავშირის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა. როგორც ყველა ამომრჩეველი ნათლად ხედავს, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ უკვე საქმით დაამტკიცა, რომ იგი თავდადებით იბრძვის ხალხის საქმისათვის და უნარიც აქვს განახორციელოს ლენინ-სტალინის დიადი იდეები.

ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მშრომელები მიისწრაფიან იქითკენ, რომ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო შინაარსიანი, საამური და ბედნიერი გახდეს, ისინი მიისწრაფიან იქითკენ, რომ ჩვენს საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავაც მეტი ძალით სჩქეფდეს შეძლებული, თავისუფალი და მიმზიდველი ცხოვრება, კვლავაც ჰყვაოდეს და იფურჩქნებოდეს სოციალისტური სამშობლო. ყველა ამის განხორციელებისათვის კი განუხრელად იბრძოდა და იბრძვის კომუნისტური პარტია. და სწორედ ამიტომ ბოლშევიკების პარტიას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ყველა ამომრჩეველნი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საქართველოს მშრომელი მასები ბოლშევიკურად უპასუხებენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივლენ 1938 წლის 12 ივნისს საარჩევნო ყუთებთან და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში აირჩევენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

მაშ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

ბრძანება
სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა
№ 110

1938 წლის 1 მაისი ქ. მოსკოვი.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

— გილოცავთ ჩვენს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს 1 მაისს—პროლეტარული სოლიდარობისა და საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა საბრძოლო დათვალიერების დღეს.

ამ დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები სიამაყით აჯამებენ მათ მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებულ ახალ უდიდეს გამარჯვებათა შედეგებს.

ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ხელმძღვანელობს **ლენინ-სტალინის** პარტია და რომელიც გადაქცეულია მსოფლიოს ერთერთ მოწინავე, ინდუსტრიულ და აყვავებულ ქვეყნად, იზრდება, მტკიცდება და იფურჩქნება. სოციალისტური ქარხნების, ფაბრიკებისა და კოლმეურნეობების თავისუფალ მშრომელთა მრავალმილიონიანი არმია, ინსტიტუტები, ლაბორატორიები და ათასობით კულტურული დაწესებულებანი დღითი-დღე ამრავლებენ წარმატებებს, იძლევიან ჩვენი ძლიერების ახალ და კიდევ უფრო დიად პერსპექტივებს. იზრდება მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული პროგრესი.

ლენინ-სტალინის პარტიამ უკვე გამოზარდა, აღზარდა და კვლავ დაუღალავად ზრდის და სრულჰყოფს ახალ საბჭოთა ადამიანებს, რომლებსაც შესწევთ უნარი გამოიჩინონ უმაგალითო მამაცობა და თავდადებული გმირობა თავისი დიადი სამშობლოს ინტერესებისათვის, სოციალიზმის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი — მსოფლიოს ხალხთა ძმური ერთიანობის სიმბოლოა. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა — ეს ყველა ხალხის მომავალი ძლევამოსილი თანამეგობრობის გრანიტის საძირკველია. ამის უდავო დადასტურებას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი ეროვნებანი და ტომები, ერთიანი მიზნებითა და ამოცანებით გაერთიანებულნი, რომლებიც მშრომელთა ერთიან სახელმწიფოდ შეკავშირებულ ძმურ ოჯახს შეადგენენ.

მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შექმნილი ნამდვილი პირობები მშრომელთა მილიონიანი მასების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ადამიანის პიროვნების განუწყვეტელი სრულყოფისა და საყოველთაო პროგრესისათვის.

სოციალიზმის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში მძლავრ ნაღარად გაისმიან მთელი მსოფლიოს პროლეტართა და მშრომელთა გულსა და აზრებში, უნერგავენ რა მათ კაპიტალისტური მონობისაგან თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის ნებისყოფას. და დღეს, როგორც ყოველთვის, მათი თვალი მოპყრობილია აქეთკენ, სტალინური კონსტიტუციის, ნამდვილი ხალხური დემოკრატიისა და ნამდვილი თავისუფალი შრომის ქვეყნისაკენ; აქეთკენ, სადაც სამუდამოდ მოსპობილია ნაციონალური შუღლი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სიღატაკე და უმუშევრობა, სადაც ნამდვილი ბატონ-პატრონია მთელი მშრომელი ხალხი.

მთელი ქვეყნიერების მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და მეგობრობის დღესასწაულის დღეს, იმ დღეს, როდესაც სსრ კავშირი მთელი ჩაგრული კაცობრიობისათვის განსაკუთრებით კაშკაშა ვარსკვლავად იელვარებს ძველი აშმორებული კაპიტალისტური სამყაროს ბნელით მოცულ ჰორიზონტზე,—კაპიტალიზმის შავბნელი ძალები ახალ შხამსა და გესლს დაათხევენ თავზე თავის პროლეტარიატს, შეეცდებიან ჯავრი იყარონ მშრომელებზე თავისი უძლურებისა და საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ გააფთრებული გაბოროტების გამო.

კაცობრიობა მზარდი სისწრაფით მიექანება მსოფლიო, სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის უფსკრულისაკენ. დასავლეთსა და აღმოსავლეთში ფაშისტების მიერ მოწყობილმა ომმა უკვე ისეთი უდიდესი ხასიათი მიიღო და ისეთ „თანამედროვე" ფორმებში გამოიხატა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიას თავის ფაშისტურ ავანგარდთან ერთად შეუძლია მხოლოდ გაიხაროს იმ მომავალი მსოფლიო ომის მოხერხებული „რეპეტიციით", რომელსაც იგი ამზადებს. მაგრამ ომის გამჩაღებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მსოფლიო ომის ხანძარი კარგად სწვავს არა მარტო მშრომელთა ქოხებს და სპობს მუშათა და გლეხთა მილიონებს, არამედ ომის იგივე ცეცხლი მშვენივრად ანადგურებს მეფეებსაც მათი მონარქიებით, მემამულეებსა და ბურჟუაზიას მათი ხელისუფლებითა და კაპიტალებით.

ამ ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში, რომელსაც გულმოდგინედ ამზადებენ კაპიტალისტები და ფაშიზმი, დაიწვება მსოფლიოს მთელი ბურჟუაზია, ისე როგორც ერთ დროს რუსეთის ბურჟუაზია დაიწვა.

გმირული ესპანეთისა და დიდი ჩინეთის ხალხთა მასები თავგანწირვით იბრძვიან უთანასწორო ბრძოლაში იმპერიალისტ მოძალადეთა წინააღმდეგ თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, ცხოვრების უფლებისათვის. სისხლისაგან დაცლილნი ისინი მთელს მსოფლიოს უჩვენებენ მასების გმირობის, მილიონთა დიდი სიმამაცის, უდიდესი სიმტკიცისა და მტერზე გამარჯვების მოპოვების ნამდვილი ნებისყოფის სასწაულებს. მუშურ-გლეხური წითელი არმიის სიმპატიები, ისევე როგორც სიმპატიები მთელი საბჭოთა ხალხისა, განუყოფლად ეკუთვნის ესპანეთისა და ჩინეთის გმირ მებრძოლებს.

საბჭოთა ხალხი, თავის მთავრობასთან ერთად, იცავდა და მომავალშიაც განუხრელად დაიცავს მშვიდობიანობის ინტერესებს მთელს მსოფლიოში.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია **არ** გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს დროში მსოფლიო გადაიქცა შეიარაღებულ ბანაკად, რომ ქვეყნიერების ორ ნაწილში ბობოქრობს ომის ხანძარი, ხოლო ჩვენი მრავალრიცხოვანი მტრები, ცდილობენ რა ყოველნაირად გამოუთხარონ ძირი შიგნიდან ჩვენს შემოქმედებითს მუშაობას, ემზადებიან ჩვენთან აშკარა ომისათვის. „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარი „შემთხვევითობა" და ჩვენი გარეშე მტრების არავითარი ფოკუსები არ იყოს ჩვენთვის მოულოდნელი" **(სტალინი)**.

მსოფლიო ომის გამჩაღებლები კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის ძალასა და ძლიერებას და მისი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სიმტკიცეს. მათ აგრეთვე იციან ისიც, რომ ჩვენი სამშობლოს უსაზიზღრეს მოღალატეთა და გამცემელთა, ტროცკისტულ-ბუხარინულ სიბინძურეთა და მენშევიკ-ესერების ნაძირალთა შეუბრალებლად მოსპობამ მუშურ-გლეხური წითელი არმია გახადა კიდევ უფრო მრისხანე ყველა ჩვენი მტრისათვის. მაგრამ ის, რაც ახლა ევროპასა და აზიაში ხდება, გვაიძულებს ჩვენ ვიყოთ განსაკუთრებით ფხიზელი და თვალმახვილი, გაათკეცებული ენერგიით, ისე, რომ არ დავკარგოთ არც ერთი საათი, ჩვენ შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, მისი შემდგომი პოლიტიკური და ტექნიკური ზრდისათვის.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო და პოლიტმუშაკებო! დიდმა საბჭოთა ხალხმა ჩვენ დაგვაკისრა ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვის უაღრესად პასუხსაგები ამოცანა. მუდამ იყავით ამ პასუხსაგები და საპატიო ამოცანის ღირსნი. ყოველ წუთს მზად იყავით იმისათვის, რომ ძლევამოსილად გაანადგუროთ მტერი, თუ იგი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს საბჭოთა საზღვრებს.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან, ძლევამოსილ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მშრომელებს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების სრულიად - საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი

კ. ვოროშილოვი.

ბრძანება
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრისა № 52

1938 წლის 1 მაისს.

ამხანაგებო, მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის წითელფლოტელებო, წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

მოგილოცავთ 1 მაისს—საყოველთაო - სახალხო დღესასწაულს, გამარჯვებული სოციალიზმისა და საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღესასწაულს.

პირველი მაისი დიდი საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის წარმოადგენს გამარჯვებათა და მიღწევათა დათვალიერების დღეს, კომუნიზმის შემდგომი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად საბჭოთა ხალხის ძალთა მობილიზაციის დღეს. ბედნიერი საბჭოთა ხალხი დღეს ჩვენი ქალაქებისა და კოლმეურნეობების ქუჩებში ახდენს თავისი ძალის, ძლიერებისა და გამარჯვების ურყევი ნებისყოფის დემონსტრაციას. განამტკიცა რა თავისი მონაპოვარნი მშრომელთა დიად ქარტიაში ჩვენმა ხალხმა, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, უდიდესი ერთსულოვნობით აირჩია მსოფლიოში პირველი, ჯერ არსად ნახული სოციალისტური პარლამენტი. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დიადმა ხალხმა მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი მონოლიტობა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რაც გამოხატულია კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევ ბლოკში.

საბჭოთა სახელმწიფოს ხალხები ახალი არჩევნებისათვის ემზადებიან, ისინი ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს, ლენინ-სტალინის საქმის ბოლომდე ერთგულ პატრიოტებს ასახელებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში. გაანადგურა რა ტროცკისტ-ბუხარინელთა და სხვათა ჯაშუშთა, დივერსანტთა და ფაშისტების მიერ დაქირავებულთა ბანდა, რომლებიც ცდილობდნენ წაერთმიათ ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის ბედნიერი ცხოვრება და ნაწილ-ნაწილად გაეყიდნათ ჩვენი სამშობლო, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და დღეს, ისე როგორც არასოდეს, ერთიანი და მონოლიტურია თავის მისწრაფებაში — ძლევამოსილად აშენოს კომუნიზმი.

1 მაისის დღეს ჩვენი ქვეყნის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს მრავალმილიონიანი ხალხი ერთხელ კიდევ უწვდის დახმარებისა და ძმური სოლიდარობის ხელს გმირ ესპანელ ხალხს და ყველა იმას, ვინც ესპანეთის რესპუბლიკას იცავს ინტერვენტების — გერმანია - იტალიის ფაშისტური ურდოების შემოსევისაგან. ამ დღეს ჩვენი ძმური სიყვარულისა და სოლიდარობის ხმას გაიგონებენ ჩინეთის მშრომელები, რომლებიც გმირულად იგერიებენ იაპონელ დამპყრობელთა თავდასხმებს.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს განამტკიცონ მშრომელებისა და მთელი პროგრესიული კაცობრიობის ერთიანი ფრონტი ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ, რომლებიც ამზადებენ ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას, ამზადებენ თავდასხმას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე, იმ ქვეყანაზე, სადაც განხორციელებულია ჩაგრულთა ოცნებანი.

1 მაისის დღეს სრულიად - საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) აყენებს საბრძოლო ლოზუნგს:

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დადექით მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინტერნაციონალური დროშების ქვეშ!

საბჭოების ქვეყნისადმი მხეცური სიძულვილით არაერთხელ უცდიათ ფაშისტებს გაესინჯათ ჩვენი სიფხიზლე და ჩვენი საზღვრების სიმტკიცე, მაგრამ ისინი მუდამ განმანადგურებელ პასუხს ღებულობდნენ. ძლიერი, ყოვლად უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმია და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტი, რომლებსაც მუდამ ახსოვდათ დიდი სტალინის ბრძნული სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, იყვნენ და იმყოფებიან სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობაში საომარი თავდასხმის საფრთხის წინაშე და ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ანმტკიცებენ და სრულჰყოფენ თავის საბრძოლო ძლიერებას.

საბჭოთა ხალხის ნება-სურვილით მუშურ-გლეხურმა მთავრობამ დაგვავალა ჩვენ, ამხანაგო წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, ავაშენოთ ჩვენი დიდი ქვეყნის ღირსი მძლავრი საზღვაო და საოკეანო ფლოტი.

1 მაისის დღეს ფიცი დავდოთ ჩვენი სამშობლოს წინაშე, მშრომელთა წინაშე, რომ ამ საპატიო და ძნელ ამოცანას შევასრულებთ ისე, როგორც ეს ბოლშევიკებს შეჰფერის. მძლავრი საზღვაო და საოკეანო წითელი ფლოტი უმოკლეს დროში შეიქმნება. დაე, ეს იცოდნენ და დაე, უხაროდეთ ჩვენს მეგობრებს, დაე, ეს გაიგონონ, დაიხსომონ და გაითვალისწინონ ჩვენმა მტრებმა. საბჭოთა მიწა და საბჭოთა წყლები წმინდა და ხელშეუხებელია.

ამხანაგებო, სამხედრო - საზღვაო ფლოტის ახალგაზრდა წითელფლოტელებო!

დღეს დიდი საბჭოთა ხალხის წინაშე, მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე თქვენ სდებთ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების, სოციალისტური სამშობლოს ერთგულების წითელ ფიცს. მოგილოცავთ საზეიმო აღთქმის დადებას და გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ თქვენ იქნებით ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები, განამტკიცებთ საბრძოლო მომზადებასა და სამხედრო დისციპლინას, პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულებთ თქვენს მოქალაქობრივ მოვალეობას.

გამარჯვება და განმტკიცება ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — სსრ კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს — მსოფლიო რევოლუციის შტაბს!

გაუმარჯოს მუშურ - გლეხურ წითელ არმიას და მუშურ-გლეხურ წითელ საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ, ბრძენ ბელადს, დიდ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, არმიის პირველი რანგის კომისარი

პ. სმირნოვი

უცხოელ მუშათა დელეგაციების მიღება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

3 მაისს კავშირთა სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და კავშირების ცენტრალურ კომიტეტთა თავმჯდომარეების სხდომა უცხოელ მუშათა დელეგაციებთან ერთად, რომელნიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ საპირველმაისო ზეიმზე.

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. **შვერნიკმა**.

ამხ. შვერნიკი დაწვრილებით ჩერდება სოციალიზმის გამარჯვებებზე საბჭოთა კავშირში, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდაზე და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაზე. კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის წარმომადგენელნი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან განცხადებას იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მოიპოვეს უდიდესი უფლებანი — შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, რაც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

პასუხად დელეგატების შეკითხვებზე პროფკავშირული ერთიანობის შესახებ ამხ. შვერნიკი დაწვრილებით უამბობს მათ იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც მოსკოვში სწარმოებდა პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლებს შორის.

საბჭოთა პროფკავშირებმა წამოაყენეს შემდეგი პირობები სსრ კავშირის პროფკავშირთა ერთიანობის დასამყარებლად პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებასთან, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს პროფკავშირული ერთიანობა მთელს მსოფლიოში ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად:

„პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დელეგაცია შემდეგ პირობებს აყენებს სსრ კავშირის პროფკავშირთა ერთიანობის დასამყარებლად პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებასთან:

ა) პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების აქტივიზაცია მუშათა კლასის მიერ ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის საკითხებში;

ბ) ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალების გამოყენება (მუშათა კრებები, ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, კინო და სხვ.);

გ) პროლეტარული სანქციების მოწყობა ყველა ქვეყანაში აგრესორი სახელმწიფოების — გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ (უარის თქმა აგრესორი ქვეყნების გემთა დატვირთვაზე, უარის თქმა ამ ქვეყნებში ტვირთის შეზიდვაზე, გაფიცვების მოწყობა იმ საწარმოებში, რომლებიც იარაღსა და სამხედრო საჭურველს ამზადებენ აგრესორებისათვის, და სხვ.);

დ) ესპანეთისა და ჩინეთისათვის აქტიური დახმარების გაწევა აგრესორების — გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ე) პროფკავშირთა გაერთიანებისათვის ხელისშეწყობა იმ ქვეყნებში (ამერიკის შეერთებული შტატები, ჩეხოსლოვაკია, კანადა, სამხრეთი ამერიკა, ესპანეთი და სხვ.), სადაც პროფკავშირები ჯერ კიდევ გათიშული არიან ან სადაც არსებობს გათიშვის რაიმე საფრთხე;

ვ) ერთიანი პროლეტარული და სახალხო ფრონტისათვის მხარდაჭერა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იმ ქვეყნებში, სადაც ეს ფრონტი უკვე არსებობს.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დელეგაცია აყენებს მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს:

1. პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დელეგაცია აყენებს საკითხს, რათა მოწვეულ იქნას პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების სასწრაფო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა პროფკავშირები პროფმოძრაობის ერთიანობის განსამტკიცებლად.

2. პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებას უნდა ჰყავდეს სამი თავმჯდომარე, ერთი მათგანი საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელი. თავმჯდომარეობა ბიუროში რიგრიგობით სწარმოებს.

ერთ-ერთი გენერალური მდივანი უნდა იყოს საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელი.

3. საბჭოთა პროფკავშირებმა, რომელნიც კისრულობენ წესდებიდან გამომდინარე უდიდეს ფინანსიურ ვალდებულებებს (5.280.000 ფრანგული ფრანკი), უნდა მიიღონ გარანტია, რომ ის რამდენიმე მილიონი ფრანკი, რასაც საბჭოთა პროფკავშირები შეიტანენ, არ მოხმარდება პროპაგანდას სსრ კავშირისა და საბჭოთა პროფმოძრაობის წინააღმდეგ". ასეთი იყო საბჭოთა პროფკავშირების პირობები.

ორივე დელეგაციას შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა ძირითადი პირობები სსრ კავშირის პროფკავშირთა ერთიანობის დამყარებისათვის პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებასთან.

მიღებული პირობების შედეგად სსრ კავშირის საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციამ და პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების დელეგაციამ იკისრეს ვალდებულება დაუყოვნებლივ შეიტანონ, ერთი მხრით, სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმში და, მეორე მხრით, — პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების ბიუროსა და გენერალურ საბჭოში დასამტკიცებლად მიღებული ძირითადი დებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ ჩატარებული მოლაპარაკებიდან.

პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომმა, მოისმინა და განიხილა რა მოსკოვში გაგზავნილი დელეგაციის ანგარიში, შესაძლოდ ვერ სცნო მიეღო საბჭოთა პროფკავშირების პირობები სსრ კავშირის პროფკავშირთა ერთიანობის დასამყარებლად პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებასთან და საკითხი გადასაჭრელად გადაიტანა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური საბჭოს მომავალ სესიაზე ქ. ოსლოში, ურჩია რა გენერალურ საბჭოს უარჰყოს სსრ კავშირის პროფკავშირების მიერ წარმოდგენილი პირობები.

ამხ. **შვერნიკი** თავის გამოსვლას ამთავრებს განცხადებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, გაერთიანებული პროფესიულ კავშირებში, მომავალშიც ეცდება მიაღწიოს სსრ კავშირის პროფკავშირების ერთიანობას პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებასთან.

ამხ. შვერნიკის შემდეგ გამოვიდნენ ესპანეთის მუშათა საყოველთაო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო კომისარი ედმუნდ დომინგესი და ინგლისელ მღებავთა კავშირის სექციის მდივანი ტულ-ფრიდრიკ-რობერტი. (საკდესი).

ჰიტლერი რომში

რომი, 3 მაისი (საკდესი). დღეს საღამოს ჰიტლერი რომში ჩამოვიდა. მას მეფე და მუსოლინი შეეგება.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამხ. ე. გ. ევდოკიმოვი წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

o

ამ ახლო ხნის წინათ თურქეთში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით, რასაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადა თურქეთის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას და 10.000 დოლარი გადაუგზავნა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. (საკდესი).

გერმან შუბიძე

ჭექა-ქუხილი ქვესკნელიდან

Падет произвол, и воспрянет народ
Могучий, счастливый, свободный.

(რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციიდან).



რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მაკეტი რევოლუციის მუზეუმში.

ფოტო რ. აკოფოვისა

დგეხარ ამ ჯურღმულში, ქვესკნელში გაკეთებულ გამოქვაბულში და ტანში ჟრუანტელი გივლის. გულისტკივილისა და სიხარულის, ზიზღისა და სიყვარულის გრძნობები ერთმანეთში ირევა.

უჰ! რა მძიმე ყოფილა მშრომელი ხალხის გულისათვის ბრძოლა შავბნელი თვითმპყრობელობის სისხლიანი ტერორის დროს!

ამ ქვესკნელში თხუნელებივით მიძვრებოდნენ ხალხის გმირები, თავგანწირული ბოლშევიკები, რომ იქ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის სამჭედლო მოეწყოთ. რამდენი ჯაფა, რამდენი სახიფათო წუთი, რამდენი უძილო ღამე შეუწირავთ მათ ჩვენთვის, ჩვენი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის!

ამოდენა ჭაში ჩაძვრომა კი არა, ჩახედვაც შეზარავს მნახველს. მერე კიდევ რამდენიმე მეტრის სიგრძის გვირაბის გათხრა, შემდეგ ქვესკნელში ვეებერთელა სასტამბო დაზგებისა და შრიფტისათვის ასე ფართო გამოქვაბულის მოწყობა! მართლაც, სხვა ყალიბის ხალხია ბოლშევიკები!

...და ყველაფერი ეს გაკეთებულია უაღრესი კონსპირაციის პირობებში. მთელი შავი სამუშაო ბოლშევიკებმა გადაიტანეს თავის ზურგზე.

არალეგალური სტამბის მოწყობა თბილისში ისე აუცილებელი იყო ბოლშევიკებისათვის, როგორც წყალი თევზისათვის.

ეს ის პერიოდია, როცა ჩავარდნილია ბაქოში გმირი რევოლუციონერის ამხ. ლადო კეცხოველის მიერ მოწყობილი არალეგალური სტამბა, ჩავარდნილია აგრეთვე ბათუმის სტამბაც. ლადო კეცხოველი მხეცურად მოჰკლეს ჯალათებმა მეტეხის ციხეში.

რევოლუციის დიდი ბელადი, ხალხის ჯალათებს გამომწყვდეული ჰყავთ ქუთაისის ციხეში. ამხანაგი სტალინი ციხიდან იძლევა დირექტივას არალეგალური სტამბის მოწყობის აუცილებლობის შესახებ. კავკასიის კავშირის კომიტეტი ამ დირექტივას ბრწყინვალედ ასრულებს თავდადებული რევოლუციონერების: მიხა ბოჭორიძის, ძმების ჩოდრიშვილების, დავით როსტომაშვილის, მაღრაძისა და სხვათა საშუალებით.

თავიანთი ხელით უთხრიათ მათ ეს მიწა აქ, მაშინდელ უდაბურ და გავერანებულ ადგილას.

მერე რა ოსტატურად აუხვევიათ თვალი მეფის სატრაპებისათვის. როსტომაშვილი ვითომ გამდიდრდა და სახლს იშენებს. სახლის ოფიციალური გეგმა არავითარ ეჭვს არ ჰბადებდა ქალაქის „მმართველთათვის" ანუ ხალხის მძარცველთათვის.

როცა თბილისის ქალაქის სამმართველო როსტომაშვილის სახლის გეგმას ამტკიცებდა, ბოლშევიკებს კავკასიის კავშირის კომიტეტში დიდი ხნით ადრე დამტკიცებული ჰქონდათ არალეგალური სტამბის სტალინური გეგმა.

ოფიციალური ნებართვა არის. გაჩაღდა მუშაობა. მუშები სთხრიან და სთხრიან ჭას, ვიდრე წყალი არ გამოჩნდება. წყალი ხომ საჭიროა მშენებლობისათვის, კირისა და ხრეშის ასაზელად. მათ რა იციან თუ ეს ნიღაბია მეფის პირსისხლიანი ქოფაკების წინაშე.

გათავდა ჭა, გამოჩნდა წყალი.

— ფუ! დასწყევლოს ღმერთმა! ის ჩასაქვავებელი, ისა. „ხაზეინი" ფულს აღარ იძლევა, მშენებლობას თავს ანებებს,—ყასიდად გაიძახიან კონსპირატორები.

ტყდება ჩოჩქოლი და აყალ-მაყალი; რაშია საქმე? ბოლომდე ვიყავით გარიგებულნი,—ჰყვირიან მუშები და სტოვებენ სამუშაოს.

ჩვენს ბიჭებსაც ეს უნდოდათ.

ისინი დაკარწახებულნი იწყებენ მომავალი შენობის ქვეშ, სიღრმეში, ჭის გასწვრივ ვეებერთელა სარდაფის გათხრას, რომელსაც გვირაბით უერთებენ ჭას.

სარდაფის თავზე კარგა მოზრდილი ნახვრეტი დასტოვეს—ეს იმიტომ, რომ საბეჭდი მანქანები და დიდ-დიდი ნივთები ჩაეცოცნათ.

ჩაიცოცეს კიდეც და ეს ნახვრეტი მიწამ დაჰფარა. აღარც სარდაფი სჩანს, აღარც რამ ნიშანწყალი მასში შესასვლელისა.

ჩაიხედავ ჭაში, სადღაც ქვესკნელში წყალი მოსჩანს. ჩაბრძანდით და შეამოწმეთ, თუ ვაჟკაცები ხართ.

მაგრამ ბოლშევიკები ამ ჭაში თამამად ეშვებიან თოკით. იქიდან გვირაბით მიძვრებიან [illegible] ქალი ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე. ვითომ „ნახლებნიკები" (მდგმურები) ჰყავს და საჭმელს უმზადებს. სინამდვილეში მისი „ნახლებნიკები" აი იმ ჭიდან ქვესკნელში მიძვრებიან, რომ იქიდან ააფეთქონ დამპყრობელი სამყარო, დაამხონ თვითმპყრობელობა.

და გაისმის ჭექა-ქუხილი ქვესკნელიდან.

აი ამ ქვესკნელიდან დაიქუხეს დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მძლეთამძლე მოწოდებებმა თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. აქედან ამოჩუხჩუხდა მარქსიზმის ცხოველმყოფელი წყარო, რომელსაც სიამით ეწაფებოდნენ მონობის უღელ ქვეშ მგმინავი ჩვენი მხარის მუშათა კლასი და გლეხობა.

...„შავი ღრუბლები გროვდება ჩვენს თავზე. ბებერი თვითმპყრობელობა სულს დგამს და ცეცხლითა და მახვილით გვეგებება", — ეს კობას ხელით დაწერილი სტრიქონებია, აქ შეკრული ტყვიად. ამ ქვესკნელიდან გასძახის დიდი ბელადი მშრომელ ხალხს და მოუწოდებს აჯანყებისაკენ.

აქ, ამ გამოქვაბულში ჩაჰკირკიტებდნენ გმირი ასოთამწყობები საყვარელ კობას [illegible] ნიადაგი პროლეტარიატის ნამდვილ წინამძღოლობას" — კავკასიის კავშირის კომიტეტის ეს მოწოდება — აი ამ ჭიდან ამოვიდა, ამ გამოქვაბულში მბეჭდავი მუშის მადლიანი ხელით აწყობილ-დაბეჭდილი.

„მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი პარტია აჯანყებას მოაწყობს და, მაშასადამე, პროლეტარიატი რევოლუციის ნამდვილ ხელმძღვანელად გამოვა, მხოლოდ მაშინ შევძლებთ შესაფერისად გამოვიყენოთ ძველი წესების განადგურება, მხოლოდ მაშინ შევძლებთ მკვიდრად განვმტკიცდეთ მომავალ თავისუფალ რუსეთში და ღირსეულად გავიკაფოთ გზა იმ „აღთქმული ქვეყნისაკენ", რომელსაც სოციალისტური ცხოვრება ეწოდება"...

ესეც იმავე კომიტეტის პროკლამაციაა, აი ამ ქვესკნელიდან რომ ამოაპარეს თავდადებულმა მებრძოლებმა.

და სიტყვა იგი იქცა საქმედ. ბოლშევიკების სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება.

და ჩვენ იმ „აღთქმულ ქვეყანაში" ვართ, რომელსაც სოციალისტური ცხოვრება ეწოდება. გინდა გადააკეთო და ასე წაიკითხო აქ გაკრულ პროკლამაციაში მოყვანილი ლექსი:

Уж пал произвол, и уж воспрял народ
Могучий, счастливый, свободный!

o

[illegible] რისძიების გრძნობით ენთება, ყველას სახის ყოველ ნაკვთზე უსაზღვრო ზიზღი აღიბეჭდება.

მართლაც, თუ გინდათ მოღალატეობა, ჯაშუშობა მთელი თავისი საზიზღრობით წარმოგიდგეთ, აქ უნდა მოხვიდეთ და ნახოთ ავლაბრის არალეგალური სტამბის დარბევის სურათი, ოთახის კედელზე რომ არის გაკრული.

აუარებელი მნახველები, რომელთაც ყოველდღე შეხვდებით კასპისა და დოესის მოასფალტებული ქუჩების კუთხეში, 26 კომუნარის სახელობის რაიონში ავლაბრის რესტავრირებულ არალეგალურ სტამბასთან, წყევლა-კრულვას უგზავნიან შთაბეჭდილებათა წიგნში საზიზღარ ჯაშუშს, რომელმაც თვითმპყრობელობას ფულად მიჰყიდა ეს ხალხის გული, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ეს ფასდაუდებელი მადანი.

თუ რა ძვირფასი განძი ელაგა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ამ საბადოში, ვგებულობთ „ავლაბრის საქმის" საგამომძიებლო მასალებიდან.

სტამბის დარბევის დროს მეფის ჟანდარმებს და ოფიცრებს აქ აღმოუჩენიათ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" პირველი ნომრის 1620 ეგზემპლარი. ეს ის ნომერია, რომლის გამოსვლას უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მიესალმა დიდი ლენინი თავისი გაზეთის „პროლეტარის" მე-22 ნომერში. აღმოჩენილი ლიტერატურის სიაში არის ვლადიმერ ილიჩის ბროშურა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". პოლიციის გამომძიებელს ძალიან შეშინებია ამ წიგნისა, მას „საშიშარ" ლიტერატურად ახასიათებს და ასეთ განმარტებას დასძენს საქმეში: „ავტორი რჩევას იძლევა არ გაჩერდეთ შუა გზაზე და არ გაგიტაცოთ ლიბერალური ბურჟუაზიის პრინციპებმა, არამედ ეცადეთ მიაღწიოთ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მთლიანად ხელში ჩაგდებას, თუნდაც შეიარაღებული აჯანყების გზით". შიშით გულგახეთქილი გამომძიებელი ხაზგასმით აღნიშნავს შეიარაღებული აჯანყების მოთხოვნის ამბავს.

ასევე ძალიან შეუშინებია ჟანდარმები და პოლიციელები სტამბაში აღმოჩენილ სტალინის ბროშურას „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" (ეს ბროშურა აღმოუჩენიათ სტამბაში 972 ეგზემპლარი სამ ენაზე). ისინი ასე აფასებენ მას საგამომძიებლო დასკვნაში: „ეს ბროშურა მიძღვნილია პარტიული უთანხმოებისადმი, რომელიც წარმოიშვა პარტიის II ყრილობაზე, რასაც შედეგად მოჰყვა პარტიის გაყოფა ორ ფრაქციად: „ბოლშევიკებად" და „მენშევიკებად". — ავტორი კავკასიის კავშირის სახით პირველთ ეკუთვნებს თავსო". ერთი სიტყვით, სტალინი ბოლშევიკი არისო — „აღმოუჩენიათ" თვითმპყრობელობის „მართლმსაჯულთ".

და რამდენი რა არ ჩაუგდიათ ხელში მტარვალებს. მოწოდებები ჯარისკაცებისადმი, ფურცლები მოწოდებით პოლიტიკური გაფიცვისაკენ, ბრძოლისაკენ რვა საათის სამუშაო დღისათვის, თვითმპყრობელობის დამხობისაკენ.

პოლიციელები განცვიფრებული დარჩენილან სტამბის კეთილმოწყობით: ელექტრონის სიგნალიზაცია, ფართო სასტამბო მეურნეობა, უზარმაზარი სასტამბო მანქანა ბორბლით, სწრაფმბეჭდავი და საკორექტურო ხელის დაზგები, ჩარჩოები გვერდების შესაკრავად, ორმოცამდე საშრიფტო კასა, რამდენიმე ათეული ფუთი რუსული, ქართული, სომხური შრიფტი, დიდძალი ქაღალდი, საღებავები და მრავალი სხვა.

მშრომელთა აი ასეთი საუნჯე გაჰყიდა საზიზღარმა გარეწარმა, წყეულმა ჯაშუშმა.

სტამბის მნახველებში უშრეტ ალად ენთება წყურვილი თავგანწირული ბრძოლისა ყველა ჯურის ჯაშუშების, ტროცკისტ-ბუხარინელი იუდების საბოლოოდ განადგურებისათვის.

— სტამბის ნახვამ გამიორკეცა დაუნდობელი ბრძოლის წყურვილი იმ არამზადათა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი სამშობლოს გაცემას, — სწერს შთაბეჭდილებათა წიგნში სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ეთერ ჯორჯიკია.

— მე თვითმპყრობელობის სუსხი არ მინახავს, მაგრამ აქ განვიცადე მისი მთელი საშინელება. მთელ ჩემს ახალგაზრდულ ენერგიას და მთელ ჩემს სიცოცხლეს შევწირავ სოციალისტური სამშობლოს დაცვას, — სწერს კომკავშირელი ოცმეთაური კონსტანტინე კუცია.

— აი მართლაც სად იგრძნობა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული ძალა. სტამბის მთელი მოწყობილობა, განსაცვიფრებლად მოფიქრებული გეგმა, იმ ადამიანთა სიმამაცე, რომლებიც მასში მუშაობდნენ, — ყოველივე ამაში თავმოყრილია ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ბოლშევიკების საუკეთესო თვისებები.

სურვილთა შორის ერთი რამ უნდა გამოვთქვათ: უნდა მოიძებნოს ის გამყიდველი, რომელმაც კავკასიელი ბოლშევიკების ეს იარაღი თავისუფლებისა და ხალხის მტრებს ჩაუგდო ხელში. ის უნდა მოიძებნოს, — სწერენ საბჭოთა მწერლების კავშირის რუსთაველის პლენუმის დელეგატები—მწერლები ლავრენევი და სობოლევი.

ბოლშევიკების ბეჭდვითი სიტყვის ამ მარადიულ ძეგლთან ჩვენი გმირული ქვეყნის თავისუფალი შვილები სიამაყის გრძნობით ერთგულების ფიცსა სდებენ და მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებენ დიდ სტალინს, რომელმაც ჯურღმულიდან ამოიყვანა მშრომელი ხალხი და თავისუფლების ცხოველმყოფელი სხივები მოჰფინა მას.

მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებენ მშობლიურ სტალინს, რომელიც ამ ჯურღმულიდან ჰქუხდა თვითმპყრობელობის უკუნეთში და რომლის ხმა ახლა კრემლის ტრიბუნიდან ჰქუხს და მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს შიშის ზარსა სცემს.

ისინი უდიდეს მადლობას უთვლიან საუკეთესო სტალინელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომლის ინიციატივითაც აღდგენილ იქნა ეს ბოლშევიკური ნაგებობა, რომელსაც თვალისჩინივით შეინახავს გამარჯვებული მშრომელი ხალხი, რომ თაობიდან თაობას გადასცეს ბოლშევიკების გმირობის ძეგლი.

◆



მხურვალე სალამი ბოლშევიკური პრესის მუშაკებს

როდესაც დაუსრულებელი იმპერიალისტური ომით დატანჯული ჯარისკაცები სტოვებდნენ სანგრებს და უბრუნდებოდნენ გაპარტახებულ კერას, როდესაც მატარებლიდან გაისმოდა:

— პური!..

ზავი!...,

ჯარისკაცები პურთან ერთად დაეძებდნენ გაზეთებს.

ოქტომბრის რევოლუციამ ბეჭდვითს სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ მოუმზადა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ფართო ასპარეზი, მკითხველთა მრავალი მილიონები.

გაზეთი, რომლის გავლენა ძველად მხოლოდ ინტელიგენციის ვიწრო წრით იყო განსაზღვრული, საბჭოთა კავშირის პირობებში გადაიქცა პროპაგანდის უძლიერეს იარაღად. გაზეთი დღეს შესულია მუშათა, კოლმეურნეთა, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ყოფა-ცხოვრებაში.

დღეს საქართველოს პირობებში გაზეთი აღწევს ყოველ დაშორებულ კუთხეს და იქ, სადაც გადაცემის ჩვეულებრივი საშუალება ვერ აღწევს, იგი მიდის თვითმფრინავებით. ლენინისა და სტალინის დიადი იდეები საბჭოთა გაზეთების საშუალებით ვრცელდებიან და მკვიდროდ იდგამენ ფესვებს ყოველ ქარხანაში, სახელოსნოში, კოლმეურნეობაში, მუშისა და გლეხის ოჯახში. ჩვენი პრესა ემსახურება მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს და მას მოპოვებული აქვს მათი მხურვალე სიყვარული და უდიდესი ყურადღება.

საბჭოთა ქართული გაზეთები ასიათასიან ტირაჟებს აღწევენ, რაზედაც ძველად ოცნებაც არ შეიძლებოდა.

საბჭოთა პრესაში მუშაობა უაღრესად საპატიო და პასუხისმგებელი მოვალეობაა. მხურვალე სალამი საბჭოთა პრესის მუშაკებს!

მიხ. ჭიაურელი

ორდენოსანი კინო-რეჟისორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იზრდება ქართული წიგნი

მშრომელი მასების კეთილდღეობის სწრაფი ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებელია მათი სწრაფი კულტურული ზრდა, რის შედეგადაც ბუმბერაზულად იზრდება საბჭოთა საქართველოს ბეჭდვითი პროდუქციის როგორც მრავალსახეობა, ისე მისი რაოდენობა.

ნაბეჭდი წიგნის გამოცემა საქართველოში 1629 წლიდან იწყება.

1629 წლიდან 1920 წლამდე, ანუ დაახლოვებით სამი საუკუნის მანძილზე დაიბეჭდა და გამოიცა დაახლოვებით 4.000-მდე სახელწოდების ქართული წიგნი. 1921 წლიდან 1937 წლამდე, ანუ საბჭოთა პერიოდის ჩვიდმეტი წლის მანძილზე კი საბჭოთა საქართველოში დაიბეჭდა და გამოიცა 17.569 სახელწოდების წიგნი, მათ შორის 11.483 სახელწოდების ქართული წიგნი, რაც შეადგენს 17 წლის მანძილზე ქართული წიგნის პროდუქციის ზრდას 287 პროცენტით განვლილ სამ საუკუნესთან შედარებით.

საბჭოთა საქართველოში წიგნები, გარდა ქართულისა, იბეჭდება სხვა ენებზეც: რუსულ, სომხურ, თურქულ, აფხაზურ, ოსურ, ასირიულ, გერმანულ, ფრანგულ, ლათინურ, ბერძნულ, ინგლისურ, არაბულ, უდურ, უკრაინულ და სხვა ენებზე. ეს მრავალფეროვანი ეროვნული ლიტერატურა შედეგია იმ დიდი წარმატებისა, რომელიც საქართველოს მშრომელებმა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად მოიპოვეს.

მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდა გამოხატულებას პოულობს ბოლშევიკური პრესის გიგანტურ ზრდაში. ამ მხრივ საგულისხმოა საბჭოთა საქართველოს გაზეთების ტირაჟის ზრდა. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს, გაზეთების წლიური ტირაჟი შეადგენდა 7.547.550 ეგზემპლარს; საბჭოთა ხელისუფლების 10 წლისთავზე გაზეთების ტირაჟი ავიდა 106.593.600-მდე, ხოლო 1937 წლისათვის მიაღწია 155.129.422-ს, ანუ 1921 წელთან შედარებით გაზეთების ტირაჟი გაიზარდა 147.581.862 ეგზემპლარით.

ბოლშევიკური პრესის ტირაჟის ზრდას თან ერთვის ჟურნალების პროდუქციის ზრდაც. მაგალითად, 1921 წელს საბჭოთა საქართველოში დაიბეჭდა 47 სახელწოდების ჟურნალი 241.200 ცალი ტირაჟით. 1937 წელს საბჭოთა საქართველოში დაიბეჭდა და გამოიცა 541 სახელწოდების ჟურნალი 1.508.910 ტირაჟით.

ამრიგად, კულტურის ამ უბანზედაც საბჭოთა საქართველოს დიდი წარმატებები აქვს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ბეჭდვითი სიტყვას დღეს ხვდება უდიდესი გამარჯვებებით როგორც სამეურნეო, ისე კულტურის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ბეჭდვითი პროდუქციის მძაფრად გადიდების საქმეში.

ლ. ჯიბლაძე

საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორი.

მკითხველები ჩვენი გაზეთის შესახებ

„კომუნისტს" არც რკინიგზის ცხოვრება უნდა გამორჩეს

ვფიქრობ, გამოვთქვამ საქართველოს ყველა რკინიგზელის აზრს, თუ ვიტყვი, რომ „კომუნისტმა" მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს რკინიგზელთა ცხოვრების გაშუქებას თავის ფურცლებზე.

მართალია, ჩვენ მოგვეპოვება საკუთარი ორგანო „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა", მაგრამ რუსული ენის არმცოდნე ქართველი რკინიგზელებისათვის იგი მიუწვდომელია.

რკინიგზის ტრანსპორტი კი, ჩვენი საყვარელი რკინის სახკომის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით, მკვეთრი აღმავლობის გზით მიდის. რკინიგზელებს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები მოეპოვებათ. უეჭველია, ნაკლიც ბევრი გვაქვს, და სწორედ ამიტომ ბოლშევიკური პრესა ვალდებულია ყოველივე ამაზე ამახვილებდეს ყურადღებას, რაზმავდეს მასებს მიღწევათა კიდევ უფრო გამრავლებისა და ნაკლთა აღმოფხვრისათვის.

საქართველოს ფარგლებში ამის გაკეთება ყველაზე უკეთ „კომუნისტს" შეუძლიან, რადგან იგია ჩვენში ყველაზე გავრცელებული და პოპულარული გაზეთი.

რკინიგზელთა შორის ბევრი ახალი ადამიანები აღიზარდნენ, რომლებიც ჯერ არნახულ საწარმოო რეკორდებს ამყარებენ, იძლევიან ბოლშევიკური, სოციალისტური შრომის იშვიათ ნიმუშებს. ვის, თუ არა „კომუნისტს", შეუძლიან გააცნოს ისინი ფართო საზოგადოებას.

ტრანსპორტის საკითხები მთელი პარტიის, მთელი ქვეყნის საქმეა და ჩვენც მოვითხოვთ „კომუნისტისაგან", რათა მან რკინიგზასაც მოუნახოს თავის ფურცლებზე ადგილი, მით უმეტეს, რომ ამის გამოცდილება „კომუნისტს" მოეპოვება და რკინიგზელთა შორის მას ბევრი მკითხველი ჰყავს.

ანდრო ჭიკლაური

ორდენოსანი მემანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩემი მოსაზრებანი

ჩემი აზრით, გაზეთმა „კომუნისტმა" შემდგომ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და გაითვალისწინოს ორი რამ.

პირველი, „კომუნისტში" ნაკლებად იბეჭდება მუშკორების წერილები; საერთოდ მუშკორთა შორის სუსტად არის გაშლილი მუშაობა. ჩვენს ქარხანაში 4 ათასამდე მუშა მუშაობს, მაგრამ მათგან გაზეთში წერილებს ძალიან ცოტანი ბეჭდავენ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი აქვთ; გაზეთმა მომავალში უნდა გააძლიეროს მუშკორთა შორის მუშაობა, უნდა ჩააბას ისინი გაზეთის მუშაობაში.

შემდეგ, გაზეთს დიდი მოვალეობა ეკისრება სტახანოვური მოძრაობის განვითარებაში. გაზეთი სისტემატურად უნდა ბეჭდავდეს მასალებს ცნობილ სტახანოველთა გამოცდილების შესახებ. რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ გაზეთ „კომუნისტზე"? ის, რომ სტახანოველთა გამოცდილების პოპულარიზაციას გაზეთი არ ეწევა. ჩვენს ქარხანაში ბევრი არიან ისეთი სტახანოველები, რომლებმაც პირდაპირ სასწაულებრივ შედეგებს მიაღწიეს, დაამსხვრიეს ძველი ტექნიკური ნორმები და უმაგალითოდ გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. აი მათი გამოცდილების ჩვენებაა საჭირო.

მაშასადამე, მუშკორთა შორის მუშაობის გაძლიერება, მათი დაახლოვება გაზეთის მუშაობასთან და ცნობილ სტახანოველთა გამოცდილების ჩვენება—აი, ჩემი აზრით, რას უნდა მიაქციოს „კომუნისტმა" ყურადღება შემდგომ მუშაობაში.

ი. დევსურაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველი.

რას მოვითხოვთ „კომუნისტისაგან"

„კომუნისტი" ჩვენი საყვარელი გაზეთია. ის მოწოდებულია არ გამორჩეს არცერთი მნიშვნელოვანი ამბავი როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს საშინაო ცხოვრებისა, ისე ის, რაც მის საზღვრებს იქით ხდება.

საერთაშორისო ვითარება დღეს იმდენად რთულია, რომ მკითხველს აინტერესებს იყოს ყველა იმ ამბების კურსში, რაც ყოველდღიურად ხდება. „კომუნისტი" ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა ამ მოთხოვნას. საერთაშორისო საკითხებზე, კერძოდ ესპანეთისა და ჩინეთის ამბებზე საჭიროა მეტი იწერებოდეს.

დიდი ხანია, რაც ჩვენ არაფერი ვიცით აბისინიის მდგომარეობის შესახებ. მისი დაპყრობის შემდეგ მასზე თითქმის არაფერი დაწერილა.

ამასთან გაზეთს არ უნდა დაავიწყდეს ტრანსპორტიც. რკინიგზელთა ცხოვრება მკრთალად მოსჩანს „კომუნისტის" ფურცლებზე.

უკანასკნელად გაზეთში ვაჭრა სასამართლო-პროცესის ანგარიშები, ამ მასალას ყოველთვის დიდძალი მკითხველი ჰყავს. ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს, რადგან ამ მასალას მეტად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

სასურველია აგრეთვე გაზეთმა გაგვაცნოს ახალგაზრდა ქართველი მწერლები.

გ. ქვლივიძე, შ. ხიზანიშვილი, ქრ. ქუთათელაძე, ი. გომართელი, ეპ. ჩხაიძე, აბ. ჭუმბურიძე.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი მუშები.

მცირედი შენიშვნები

მრავალი ათეული ათასი მკითხველისათვის ისევე, როგორც ჩემთვის, „კომუნისტის" კითხვა აუცილებელ ყოველდღიურ მოთხოვნილებად არის ქცეული. ეს გაზეთის დიდი მიღწევაა.

ვისურვებ, რომ „კომუნისტმა" განავითაროს ზოგიერთი ჟანრი, რომელიც ამჟამად მასში სუსტად არის წარმოდგენილი, მაგალითად პატარა ფელეტონი,—„კომუნისტის" ფურცლებზე იგი მხოლოდ კანტიკუნტად ჩნდება, — პატარა ფელეტონი გაზეთს დიდს სიხალისეს ანიჭებს; იშვიათად ჩნდება „კომუნისტში" სამეცნიერო-პოპულარული წერილებიც; საჭიროა ისტორიული წერილები ჩვენი რესპუბლიკის წარსულიდან, წერილები ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ისტორიიდან; საჭიროა სერიოზული, ავტორიტეტული რეცენზენტების მოზიდვა.

„კომუნისტმა" დიდი წარმატება მოიპოვა ენის მხრივ, და აქ იგი ნიმუშია სხვა ჩვენი გაზეთებისათვის, მაგრამ სამუშაო კიდევ არის. უცხოური წარმოშობის სახელები ყოველთვის არ არის სწორედ გადმოცემული, მაგალითად, ი-ზე დაბოლოებულ სახელებს ი-ს უკვეცენ ირიბ ბრუნვებში. ქართული გეოგრაფიული სახელების დაწერილობაც ზოგჯერ, ჩვენი აზრით, მართებული არ არის.

მაგრამ ჩამოთვლილი ნაკლი იმდენად მცირეა, რომ მას ადვილად დასძლევს „კომუნისტის" მუშაკთა კოლექტივი.

პროფ. ს. ჯანაშია.

მეტი ყურადღება ხელოვნების საკითხებს

ჩემი აზრით, „კომუნისტის" ფურცლებზე კარგად შუქდება პოლიტიკური კამპანიები: უმაღლესი საბჭოს არჩევნები, პარტიული ცხოვრება, სოფლის მეურნეობის საკითხები და სხვ.

ნაკლები ყურადღება ექცევა ხელოვნების საკითხებს, კერძოდ კი მხატვრობას. იშვიათად იბეჭდება კარიკატურები, რასაც ხშირად მიმართავენ „პრავდა" და „იზვესტია". სუსტად არის წარმოდგენილი ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებული ფოტოილუსტრაციები, ცოტა იბეჭდება უცხოეთის ამბების მიმოხილვები. ძალიან ცოტა თავსდება კინორეცენზიები, ხოლო მხატვრობის საკითხებზე „კომუნისტი" თითქმის არაფერს ამბობს.

ჩემი აზრით, ხშირად უნდა იბეჭდებოდეს სტატიები მხატვრობაზე, როგორც ხელოვნების ერთერთ მოწინავე დარგზე, შემცირებული ზომით უნდა იბეჭდებოდეს ჩვენი მხატვრების მიერ დამზადებული სხვადასხვა პოლიტიკური პლაკატები და სხვ.

მოსე თოიძე

მხატვარი, შრომის გმირი, ორდენოსანი.

ჩემი წინადადება

„კომუნისტის" ფურცლებზე სხვა საკითხებთან ერთად შუქდება სახალხო განათლების მტკივნეული საკითხები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხანდახან ეს საკითხები ცალმხრივად არის გაშუქებული. მაგალითად, წერილებში სასკოლო დისციპლინის განმტკიცებაზე, მოწაფეთა უხეშობაზე და სხვ. ყოველგვარ პასუხისმგებლობას სკოლას (დირექციას, მასწავლებლობას) აკისრებენ. ეს მართალია, მაგრამ საჭიროა პასუხისმგებლობა სკოლასთან ერთად მოწაფეთა მშობლებსაც დავაკისროთ.

ჩემი სურვილია ჩვენს გაზეთში უფრო მეტად შუქდებოდეს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის კონკრეტული, საკვანძო საკითხები ისე, რომ მკაფიოდ სჩანდეს ბავშვებზე მზრუნველობაში ოჯახის, სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების ლონისძიებათა ერთიანობა. მასწავლებელთა ატესტაციის მიმდინარეობა და სახალხო განათლების სხვა საკითხები.

ალექსანდრა ხუსკივაძე.

თბილისის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორი, ორდენოსანი.

აბრეშუმსართავი ფაბრიკის მუშაკები კითხულობენ გაზ. „კომუნისტს". ფოტო რ. [illegible]

„პრავდის" რედაქციაში

შალვა ბუჩიძე

„პრავდის" ოცდახუთი წლისთავზე, 1937 წლის 5 მაისს, პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მისალმებაში სწერდა:

„ლენინური „პრავდის" ისტორია განუყრელად დაკავშირებულია ბოლშევიზმის ისტორიასთან. „პრავდამ", რომელიც დაიბადა რევოლუციური აღმავლობის ტალღაზე 1912 წელს, დიდი როლი ითამაშა ბოლშევიზმისა და მუშათა კლასის ძალთა დარაზმვისა, პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში".

როგორც თავისი არსებობის პირველ წლებში, „პრავდას" მაღლა უჭირავს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშა და რაზმავს მშრომელთა მილიონებს, ეხმარება მათ ბოლშევიზმის დაუფლებაში, ხალხის მტრებთან გადამწყვეტი ბრძოლის გზით მიჰყავს ისინი.

„პრავდის" რედაქციაში მუდამ ახსოვთ ამხანაგ სტალინის სიტყვები: „პრესა ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათობით ელაპარაკება მუშათა კლასს თავის, მისთვის საჭირო ენაზე".

„პრავდაში" მუდამ ახსოვთ, რომ სისწორე და სიზუსტე პირველია გაზეთში. ამიტომაც დიდი გულმოდგინებით ამოწმებენ ციტატებს, ფაქტებს, გვარებს, ციფრებს. „პრავდაში" ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ ნიღაბაფარებული მტრები ხშირად ცდილობენ მოიპოვონ რედაქციების ნდობა და გამოაქვეყნონ მასალები, რომლებშიაც გარეგნულად „ყველაფერი რიგზეა", რომ ამ გზით თავიდან აიცილონ დარტყმა და თავი გადაირჩინონ. ამიტომ აუცილებელია ავტორებისა და ინფორმატორების ღრმად შესწავლა, არ კმარა მათი მასალების მარტო წაკითხვა.

არაერთხელ უცდიათ „პრავდის" გამოყენება თვითრეკლამის მიზნით, ანდა თავის მოწინააღმდეგეებთან პირადი ანგარიშის გასასწორებლად. მარტის დამლევს კუიბიშევის სახელობის მოსკოვის ელექტროკომბინატის დირექტორმა პეტროვსკიმ „პრავდის" თანამშრომელს მისცა ინფორმაცია ტრანსფორმატორების წარმოების მიღწევათა შესახებ. ამ ინფორმაციამ იჭვი გამოიწვია რედაქციის მუშაკებში და იგი არ დაბეჭდილა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარმა [illegible] რებლებს.

აშკარაა, პეტროვსკიმ მოინდომა საზოგადოებრივობისათვის თვალის ახვევა, რომ ამით დაეფარა თავისი ცუდი მუშაობა.

„პრავდაში" ყველაფერს ამოწმებენ—დაწყებული ფელეტონით და გათავებული უბრალო სამსტრიქონიანი ინფორმაციით. ვერცერთი გვარი, გეოგრაფიული სახელწოდება და ისტორიული ფაქტი ვერ მოხვდება „პრავდის" ფურცლებზე, თუ ის წინასწარ არ შემოწმდა რედაქციაში. აი დღეს, რეპორტიორმა მოიტანა ასეთი ცნობა:

„მოსფილმის" კინოსტუდიაში შეუდგნენ მზადებას ახალი დიდი ისტორიული ფილმის „ალექსანდრე ნეველის" გადასაღებად, სცენარი პ. პავლენკოსი, რეჟისორი ს. ეიზენშტეინი.

ერთი შეხედვით ინფორმაციაში ყველაფერი რიგზეა: პ. პავლენკო ცნობილი საბჭოთა მწერალია, ავტორი სახელგანთქმული რომანისა „შორეულ აღმოსავლეთში", ს. ეიზენშტეინი საბჭოთა კინოს ოსტატია, „ყინულოვანი ბრძოლაც" ნამდვილად ჩაწერილია ისტორიაში. თითქოს აქ შესამოწმებელი არაფერია. მაგრამ, არა! რედაქცია უნდა დარწმუნდეს, რომ ფილმის სცენარი ნამდვილად პ. პავლენკომ დასწერა, რომ სურათს ნამდვილად ს. ეიზენშტეინი დგამს, რომ „ყინულოვანი ბრძოლა" ნამდვილად XIII საუკუნეში მოხდა, და არა მეთექვსმეტეში. როცა ყველაფერი ეს გამოირკვევა, რეპორტიორის ცნობა მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდება გაზეთში.

„პრავდის" რედაქციაში ფაქტების, ციფრების და ციტატების შემოწმება შესანიშნავად არის დაყენებული. შემოწმება ჯერ ხდება იმ განყოფილებაში, რომელმაც მასალა მოამზადა, შემდეგ შემოწმებულ ფაქტებს ისევ ამოწმებს ეგრეთწოდებული „შემმოწმებელი ბიურო", რომელიც რედაქციის სამდივნოსთან არსებობს.

[illegible] დაუშვებელია „პრავდის" რედაქციაში, და მას, ვინც აბნეულად მუშაობს, „პრავდაში" ვერ ითმენენ.

„პრავდაში" 103 ლიტერატურული მუშაკია, მათ შორის 34-ს აქვს უმაღლესი ცოდნა, 22-ს—დაუმთავრებელი უმაღლესი, 45-ს—საშუალო და 2-ს — დაბალი განათლება: აღსანიშნავია, რომ ისინი, ვისაც არა აქვს დამთავრებული უმაღლესი განათლება, ბევრს მუშაობენ თავის თავზე, რათა თვითგანვითარებით შეევსოთ პოლიტიკური და კულტურული ცოდნა. უმაღლესი განათლება აქვთ რედაქციის მთელ რიგ ტექნიკურ მუშაკებსაც (განყოფილებათა მდივნები, კორექტორები, ბიბლიოთეკისა და ცნობათა ბიუროს მუშაკები და სხვ.). რედაქციის მთელ შემადგენლობასთან შედარებით უმაღლესი განათლება მიღებული მუშაკები 31 პროცენტს შეადგენენ.

„პრავდის" რედაქციაში მუშაობს პარტიის 80 წევრი.

„პრავდა" დიდ მოთხოვნებს უყენებს ყველა თავის მუშაკს, კერძოდ, ადგილებზე მომუშავე საკუთარ კორესპონდენტებს. ეს მოთხოვნებია: პარტიულობა, პრინციპულობა, სიფხიზლე, შეურიგებლობა პარტიის ხაზის ყოველგვარი დამახინჯებისადმი, პარტიისა და ხალხის მტრებისადმი.

ხალხის მტრების მოქმედების მამხილებელი ფაქტები ადვილი მისაგნები როდია. მათ მოძებნა უნდა. და აქ კორესპონდენტის ალღოს და ტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„პრავდის" სვერდლოვსკელმა კორესპონდენტმა ამხ. პერევოზკინმა რედაქციისაგან მიიღო დავალება წასულიყო ბაშკირეთში და თვალყური ედევნებინა ბურჟუაზიული ნაციონალისტების საქმიანობისათვის. ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, რომლებიც შემდეგ გამომჟღავნებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები, თავი ისე მოაჩვენეს კორესპონდენტს, თითქოს [illegible] ეტანება, ცდილობს დაეუფლოს მოზარდი თაობის აღზრდას. და მართლაც, სკოლაში ის წააწყდა სახელმძღვანელოს, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ერთერთი იდეოლოგის ლექსი. ეს სახელმძღვანელო გამოცემული იყო ბაშკირეთის რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით. კორესპონდენტი შეუდგა განათლების სახ. კომისარიატის მუშაობის შესწავლას. გამოირკვა, რომ განათლების სახ. კომისარი ნაციონალისტია, ის მჭიდროდ დაკავშირებულია საოლქო კომიტეტის ზოგიერთ ხელმძღვანელთან. თანდათანობით კორესპონდენტმა მოახერხა ფრიად მნიშვნელოვანი მასალის შეგროვება, რომელიც ამხელდა საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში შემძვრალ მტრებს.

O

„პრავდის" სარედაქციო კოლექტივში სამი ორდენოსანია. ესენია ბრონტმანი, კურგანოვი, ხვატი. ლაზარე ბრონტმანს კარგად იცნობენ ჟურნალისტთა წრეებში, მკითხველთა ფართო მასებისთვისაც ცნობილია მისი სახელი. ის ეკუთვნის ჟურნალისტთა იმ რიცხვს, რომლებსაც შეუძლიათ ყველაფრის გაკეთება გაზეთში—დაწყებული მეთაურით და გათავებული უბრალო ქრონიკით. ამასთანავე ის ყველაფერს აკეთებს კარგად, კეთილსინდისიერად.

13 წელიწადია ის „პრავდაში" მუშაობს. ორდენი მიიღო ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციაში მონაწილეობისათვის. ამ ექსპედიციაზე დასწერა წიგნი, რომელიც გადათარგმნილია მრავალ ევროპულ ენაზე.

ოსკარ კურგანოვი მონაწილეობდა ექსპედიციაში, რომელმაც პაპანინელები ყინულიდან გადმოიყვანა. ის „ტაიმირის" ეკიპაჟთან ერთად ებრძოდა სტიქიას, მორიგეობდა გემზე, აკეთებდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო.

ლევ ხვატი ძველი ჟურნალისტია. 15 წლიდან ის გაზეთებში მუშაობს. ხვატი სწრაფია და დაუდგრომელი. მისი მდიდარი გამოცდილება საშუალებას აძლევს მას თუ გინდ მიწიდან ამოაძვრინოს მასალა.

ხვატმა, როგორც კურგანოვმა, „საპატიო ნიშნის" ორდენი მიიღო პაპანინელთა გადმოყვანის ექსპედიციაში მონაწილეობისათვის.

ასეთია „პრავდის" ორდენოსანთა სამეული. მათი საერთო თვისებაა საქმისათვის თავდადება.

„ლეტუჩკა", როგორც ამას „პრავდაში" ეძახიან, არ არის უბრალო სარედაქციო საწარმოო თათბირი. ეს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური სკოლაა. თათბირის ცენტრალური მომენტია გამოსული ნომრის კრიტიკა. კრიტიკა პარტიული დავალებაა. კრიტიკაში ჩაბმული არიან პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. კრიტიკოსისგან მოითხოვენ, რომ მან დეტალურად და კონკრეტულად გაარჩიოს დღევანდელი ნომერი, მისი ღირსება და ნაკლოვანებანი, შეადაროს „პრავდა" სხვა გაზეთებს, აღნიშნოს ჩავარდნები, მიუთითოს პოლიტიკურ და სტილისტურ შეუსაბამობაზე. კრიტიკოსი ვალდებულია გზადაგზა აღნიშნოს, თუ რა ახალი პრობლემები უნდა გაშუქდეს „პრავდას" ფურცლებზე.

O

ნდობა, რომელსაც უცხადებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი „პრავდას", უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ყოველ მის მუშაკს. „პრავდაში" მუშაობა—ეს ნიშნავს შეუწყვეტლივ იბრძოდე ლენინ-სტალინის საქმისათვის, ბოლომდე ერთგული იყო პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა, გადაჭრით და დაუზოგავად იბრძოდე ხალხის მტრების წინააღმდეგ. „პრავდის" თანამშრომელი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს მოწინავე მებრძოლი, და მთელი მისი მუშაობა გამსჭვალული უნდა იყოს მაღალი, ბოლშევიკური პრინციპულობით.

ეს თვისებები უნდა აღზარდოს თავის თავში ყოველმა საბჭოთა ჟურნალისტმა. ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობს „პრავდა",—აი ყოველი ჩვენი გაზეთის საპატიო და გადაუდებელი ამოცანა.

მოსკოვი.

როგორ ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა

ბოლშევიკური იატაკქვეშეთის წლებში ბაქოში უდიდესი როლი ითამაშა ჩვენმა პარტიულმა პრესამ, რომლის ფუძემდებელნი **ლენინი და სტალინი** არიან.

მე მაშინ ზეინკლად ვმუშაობდი ბიბი-ეიბათის ნავთის საზოგადოების ერთერთ ქარხანაში.

ერთხელ ჩვენთან ქარხანაში ამხანაგი **სტალინი** მოვიდა: მან მითხრა: „სტამბას ჩავარდნა ემუქრება, უნდა ვუშველოთო"...

ჩვენს სტამბას პროვოკაცია ემუქრებოდა და საჭირო იყო დაუყოვნებლივ თავიდან აგვეცილებინა ჩავარდნა, — დაზგა და დანარჩენი მოწყობილობა სხვა, საიმედო ბინაზე უნდა გადაგვეტანა.

სტამბა ორჯერ გადაარჩინა ამხანაგმა **სტალინმა**. მისი მახვილი რევოლუციური სიფხიზლის მეოხებით ჩვენ რამდენიმე პროვოკატორის მხილება შევძელით. ამხანაგმა **სტალინმა** დროულად, ჟანდარმების გამოჩენამდე გადაიტანა სტამბა ახალ ბინაზე.

ჩვენს რაიონში არალეგალური სტამბიდან პროკლამაციები მოჰქონდა ამხანაგ ხანლარს. ჩემს გარდა მან ერთადერთმა იცოდა სტამბის ადგილსამყოფელი.

დილით ადრე, გარიჟრაჟზე, ის აიღებდა ყუთს, გაურიგდებოდა მზიდავ მუშას, მუდამ ერთსა და იმავეს, და მიდიოდა სტამბაში. ყუთში აწყობდნენ პროკლამაციებს, ზემოდან კი—ახალ გამომცხვარ პურს. ასეთი „ტვირთის" გადატანა არ იწვევდა იმ პოლიციელთა ეჭვს, რომლებიც გზაში ხვდებოდნენ.

ამხ. ხანლარს პროკლამაციები ჩვენს ქარხანაში მოჰქონდა. ჩვენ კი ჩვენის მხრით მუშა წარმომადგენლების საშუალებით მათ რაიონის დანარჩენ ქარხნებში ვავრცელებდით.

და აი დილით ადრე ჩვენ ვიწყებდით ფურცლების ჩაწყობას მუშების საიარაღო ყუთებში, არც ჩვენს ყუთებს ვუვლიდით გვერდს, რომ ადმინისტრაციის ეჭვი არ გამოგვეწვია. ზოგჯერ ფურცლებს კედლებზე ვაკრავდით.

ბევრი ამ პროკლამაციათაგანი დაწერილი იყო ამხანაგ **სტალინის** მიერ. ერთხელ ამხანაგმა **სტალინმა**, ქარხნის წრესთან მეცადინეობის შემდეგ, ჩემის თანადასწრებით იქვე დასწერა პროკლამაციის ტექსტი. იგი სწრაფად ეხმაურებოდა მუშათა მოძრაობის ყველა საკითხს და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციური მარქსიზმის ბეჭდვითს პროპაგანდას.

მუშათა წრესთან ჩვენს ქარხანაში ამხანაგმა **სტალინმა** სამი თუ ოთხი მეცადინეობა ჩაატარა. ვიკრიბებოდით საღამოს—ქარხნის სასადილოში.

მუშებს უყვარდათ თავისი მასწავლებელი და პატივსა სცემდნენ მას. ამხანაგი **სტალინი** ჩვენთვის გასაგებ მუშურ ენაზე გვამეცადინებდა და ყველაფერი, რასაც ის ამბობდა, ძვირფასი იყო მუშისათვის.

მე ჩამაგდეს. ვილაცას დავებეზღებინე, ვითომც ჩემს ბინაში ყუმბარებს სტენავდნენ. შინ რომ ვბრუნდებოდი, ჟანდარმები დავინახე და ჩავიარე, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო. შინ მაშინ დავბრუნდი, როდესაც ჟანდარმებმა ყველა კუნჭული მოჩხრიკეს და ჩხრეკა რომ დაამთავრეს, წავიდნენ.

რაკი დავრწმუნდი, რომ თვალყურს მადევნებდნენ, უწინარეს ყოვლისა იმ ადგილს მივაშურე, სადაც ფურცლები და გაზეთ „ისკრის" ეგზემპლარები ინახებოდა.

„ისკრა", რომელიც მე პარტიამ მომანდო, ინახებოდა ეზოში, ორმოში. ეს ორმო დაფარული იყო დიდი კასრით, რომელშიაც რამდენიმე ათეული ვედრო წყალი ჩაიდოდა. ყოველთვის, როცა კი საჭირო იყო ლიტერატურის ამოღება, უნდა გადამექცია მთელი ეს წყალი, შეუმჩნევლად გადამეწია კასრი და ამომეღო გაზეთები.

დიდი იყო არალეგალური პარტიული პრესისა და სტალინური პროპაგანდის სადა, ყველა მუშისათვის გასაგები სიტყვების ძალა.

(ი. ვაცეკის მოგონებებიდან—როგორ ვავრცელებდით სტალინურ პროკლამაციებს და „ისკრას").

ჩვენი სურვილი

ჩვენ, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს დეპუტატი დიასახლისები, არასოდეს დაგვავიწყდება ის უდიდესი დახმარება, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში გაგვიწია. ამ დროს „კომუნისტის" საშუალებით მივიღეთ უდიდესი ცოდნა და იმის გამოცდილება, თუ როგორ გვემუშავნა შეუკავშირებელ მოსახლეობაში, როგორ მოგვეწყო მათთვის საარჩევნო დღეების შემსწავლელი წრეები, როგორ მოგვემზადებინა ისინი არჩევნებისათვის და სხვ.

დახმარება მომავალშიაც გვჭირდება, განსაკუთრებით კი საბჭოს სექციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ამიტომ კარგი იქნება, თუ გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია სისტემატურად გააშუქებს რაიონული და სასოფლო საბჭოს ცალკეული სექციებისა და დეპუტატების მუშაობას, საბჭოების მუშაობაში აქტივისტ დიასახლისთა მონაწილეობას და სხვ. აღნიშნული საკითხების შესახებ ცოტა იწერება, რაც „კომუნისტს" ნაკლად უნდა ჩაეთვალოს.

ელენე ცომაია
ნინო ბაქრაძე
ზინა დოლიძე

კომუნისტი

ხუთშაბათი, 5 მაისი, 1938 წ. № 101 (5202)

ესპანეთის მთავრობის დეკლარაცია

ბარსელონა, 3 მაისი (საკდესი). ესპანეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო დეკლარაცია, სადაც ესპანეთის მთავრობა აცხადებს, რომ ომი, რომელსაც ესპანეთის რესპუბლიკა აწარმოებს ფაშისტი მეამბოხეებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ შემდეგ მიზნებს ისახავს: „1) ესპანეთის სრული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა. 2) ესპანეთის ტერიტორიის განთავისუფლება იმ უცხოელი სამხედრო ძალებისაგან, რომლებმაც დაიპყრეს იგი, და იმ უცხო ელემენტებისაგან, რომლებიც სხვადასხვა საბაბით ცდილობენ იურიდიული და ეკონომიური ბატონობა დაამყარონ ესპანეთზე. 3) რესპუბლიკის იურიდიული სტრუქტურა გამორკვეული იქნება ერის თავისუფალი ნებისყოფის გამოვლინებით პლებისციტის დროს, რაც ომის დამთავრების შემდეგ ჩატარდება. 4) სახელმწიფო უზრუნველჰყოფს ცალკე ოლქების თავისუფლებათა პატივისცემას ესპანეთის მთლიანობის დაუზიანებლად და ესპანეთში შოსახლე სხვადასხვა ხალხების ნაციონალურ თავისებურებათა თავისუფალ განვითარებას. 5) ესპანეთის სახელმწიფო თავის მოქალაქეებისათვის უზრუნველჰყოფს უფლებათა სრულ მთლიანობას კერძო და სოციალურ ცხოვრებაში, აგრეთვე სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლებას. 6) უზრუნველჰყოფს რა კანონიერად შეძენილ საკუთრებას, და ხელს არ შეუშლის რა კერძო ინიციატივას, სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე კონტროლის დაწესების გზით იბრძოლებს იმის წინააღმდეგ, რათა სიმდიდრეთა დაგროვებამ არ გამოიწვიოს მოქალაქეების ექსპლოატაცია, ყოველი საშუალებებით შეუწყობს ხელს კოლექტიურ საკუთრებას და მწარმოებელი კლასების ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებას. დაცული იქნება საკუთრება და კანონიერი ინტერესები იმ უცხოელებისა, რომლებიც არ მონაწილეობენ ამბოხებაში, ამასთანავე მთავრობის მიერ უკვე შექმნილია კომისია იმ ზარალის ოდენობის გამოსარკვევად, რაც ომმა უცხოელებს მიაყენა. 7) ჩატარებულ იქნება ღრმა აგრარული რეფორმა, რომელიც მოსპობს ძველს ნახევრადფეოდალურ მიწათმფლობელობას და განამტკიცებს გლეხთა მიწის საკუთრებას დემოკრატიული კანონების საფუძველზე. 8) სახელმწიფო უზრუნველჰყოფს მშრომელთა უფლებებს მოწინავე სოციალური კანონმდებლობის საშუალებით. 9) სახელმწიფოს ძირითადი საზრუნავი იქნება ერის კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება. 10) ესპანეთის არმია, თავისი ხალხის დამოუკიდებლობის საიმედო დასაყრდენი, თავისუფალი იქნება ყოველგვარი პარტიული ჰეგემონიისა თუ ტენდენციისაგან. ესპანეთი განავითარებს და გააძლიერებს მთელს თავის თავდაცვით საშუალებებს, რათა ეფექტიურად გაატაროს პოლიტიკა, დამყარებული მშვიდობიანობის შენარჩუნებისა, ხელშეკრულებებისა და პაქტების დაცვისა და ერთა ლიგის პატივისცემის პრინციპებზე. 11) ჩატარდება ფართო ამნისტია ყველა იმ ესპანელთათვის, რომელნიც გულწრფელად მოისურვებენ მიიღონ მონაწილეობა უდიდეს მუშაობაში თავიანთი სამშობლოს აღსადგენად და განსამტკიცებლად".

„ინგლისის მთავრობამ გაჰყიდა ესპანეთი"

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში იმ წინადადების დასაცავად, რომელიც ინგლის-იტალიის შეთანხმებას იწონებს, გამოვიდა პრემიერი ჩემბერლენი. ლეიბორისტებმა თავის მხრივ შეიტანეს შესწორება, სადაც ჰგმობენ „იმ სახელმწიფოსთან შეთანხმებას, რომელიც ყაჩაღურ აგრესიას ანხორციელებს ესპანეთში". იტალიელთა მიერ ამ შეთანხმებაში მოცემულ ილუზორულ დაპირებათათვის, —ნათქვამია შემდეგ ამ შესწორებაში,—ინგლისის მთავრობა მსხვერპლად სწირავს აბისინიის ხალხის ინტერესებს და არღვევს ერთა ლიგის წესდების პრინციპებს. ინგლისის მთავრობა უარს ამბობს კოლექტიური უშიშროების პოლიტიკაზე და ატარებს ბლოკების შექმნისა და შეიარაღებისადმი გამოდევნების პოლიტიკას, რაც არა მარტო ხელს არ უწყობს საყოველთაო მშვიდობიანობას, არამედ, პირიქით, მხოლოდ აძლიერებს საყოველთაო ომის საფრთხეს.

შესწორების დასაცავად გამოსულმა ლეიბორისტულმა პარტიის ლიდერმა მორისონმა განაცხადა, რომ იმ 8 სხვადასხვა შეთანხმებიდან და დეკლარაციიდან, რომლებსაც ინგლის-იტალიის ხელშეკრულება შეიცავს, 5 შეთანხმებას აქვს წინანდელ ვალდებულებათა დადასტურების ხასიათი, ალბათ იმიტომ, რომ იტალიის მთავრობის წინანდელ ვალდებულებებსა და დაპირებებს პატიოსნად არ ასრულებდა თვით მუსოლინი. ინგლის-იტალიის შეთანხმება, განაცხადა შემდეგ მორისონმა, ამტკიცებს იტალიის მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში და ამავე დროს ამდენადვე ასუსტებს იქ ინგლისის პოზიციებს. შემდეგ მორისონმა მკაცრად გააკრიტიკა ინგლის-იტალიის შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც აბისინიისა და ესპანეთის საკითხებს შეეხება. შეთანხმების ეს ნაწილი, განაცხადა მორისონმა, საზიზღარია და საერთო-საკაცობრიო მორალის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგებაო.

ლიბერალთა საპარლამენტო ჯგუფის ლიდერმა სინკლერმა განაცხადა: თუ ინგლის-იტალიის შეთანხმების რატიფიკაცია მოხდა, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ინგლისის მთავრობამ გაჰყიდა ესპანეთი. ჰყიდის რა ესპანეთს, მთავრობა ამით ხმელთაშუა ზღვას უთმობს მუსოლინსა და ჰიტლერს. შემდეგ სინკლერმა ბრალი დასდო ინგლისის მთავრობას იმაში, რომ იგი არ ცდილობს გააუმჯობესოს ურთიერთდამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. „ჩვენ,—განაცხადა დასასრულ სინკლერმა,—უნდა ვეძებოთ მეგობრობა იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ერთა ლიგის პრინციპების ლოიალური მომხრენი არიან".

ლოიდ ჯორჯმა ბრალი დასდო ინგლისის მთავრობას იმაში, რომ იგი მუდამ უკან იხევს აგრესორთა მუქარის წინაშე. „სანამ ჩვენ არ გვეყოლება ისეთი მთავრობა,—დასძინა ლოიდ ჯორჯმა, — რომელიც შესძლებდა მტკიცედ განეცხადებინა, რომ იგი არ დაიხევს განსაზღვრული პრინციპებიდან, მანამ შეუძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ევროპაში".

ლეიბორისტთა წინადადება თემთა პალატამ უარჰყო 322 ხმის უმრავლესობით 110-ის წინააღმდეგ.

ინგლის-საფრანგეთის წარდგინება ჩეხოსლოვაკიის მთავრობისადმი

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ცნობით, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა პრაღაში შემდეგი განცხადება გაუკეთეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას: ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები იმედოვნებენ, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა განსაზღვრულ ფარგლებში დასთანხმდება დააკმაყოფილოს გერმანელთა უმცირესობის სამართლიანი მოთხოვნები (მხედველობაში აქვთ მოთხოვნები ჰენლაინელებისა — ჰიტლერის აგენტურისა ჩეხოსლოვაკიაში).

სსრ კავშირის დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულ თურქ მოსახლეობას

ანკარა, 3 მაისი (საკდესი). როგორც ანატოლიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ანკარაში საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ სსრ კავშირმა კირშეხირის რაიონში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შესწირა 10 ათასი ამერიკული დოლარი. სააგენტო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა თურქეთში.

როგორ გავხდი მუშკორი

ეს მოხდა 1924 წელს. სოფლიდან ჩამოსული ერთი ტლუ ბიჭი ვიყავი, ხელობით დურგალი, დღიურ მუშაობით იოლად გავდიოდი. ერთხელ ბიჭებმა ამაგულიანეს და მითხრეს, ქარხანაში წავსულიყავ მუშად. დავუჯერე, წავედი. მისვლისთანავე ჩამრიცხეს რკინიგზის მთავარ სახელოსნოს სადურგლო-სავაგონო საამქროში. მართალი რომ ვთქვა, ძალიან მომეწონა აქ მუშაობა. არის რაღაც მიმზიდველი კოლექტიურ შრომაში. ვხედავდი, რომ ჩემს გარდა ბევრნი სხვებიც მუშაობდნენ და ისე გადიოდა სამუშაო დრო, რომ დაღლასაც ვერ ვგრძნობდი. ალბათ იმიტომაც, რომ ახალგაზრდა ვიყავ (თუმცა არც ახლა ვარ დროგადასული) და ჭარბი ენერგია მქონდა.

იმ ხანობამდე გაზეთი თვალითაც არ მენახა, ყოველ შემთხვევაში არ წამეკითხა. ერთხელ, — არასოდეს დამავიწყდება ის დღე, — ჩვენს საამქროში კედლის გაზეთი გამოჰკიდეს. მიეხვივნენ ჩემი ამხანაგები, დაიწყეს მისი წაკითხვა. სხვები რომ წავიდნენ, შემდეგ მე მივედი და შევუდექი კითხვას. ბევრი რამ მომეწონა, ჩვენი საამქროს ამბებზე იყო იქ მოთავსებული წერილები. ვკითხულობ, ვკითხულობ და თან ბოლომდე ვერ დავძლიე. მაშინ მივხვდი, რომ ცუდია უსწავლელობა.

— ფუი ჩემს გაჩენას! — ვთქვი და გამოვბრუნდი. თურმე ჩემს უკან დგას ძველი მუშა ვანო ხებრიელაშვილი.

— რა მოგივიდა, ჭაბუკო, რას ერჩი შენს გაჩენას?

— როგორ თუ რას ვერჩი. ხედავ ჩემი ამხანაგები სწერენ, მე კი არ შემიძლია ვწერო. არა, წერა-კითხვა ვიცი, მაგრამ ასე კარგად რომ ვწერო—არ შემიძლია. ერთი სიტყვით, ზედმეტი კაცი ვყოფილვარ...

— რაჟდენ ჩემო, (შენი სახელი რაჟდენ, არა?) ჩვენში ახლა ზედმეტნი მარტო კლასობრივი მტრები არიან. შენ ჩვენი კაცი ხარ. მუშა ხარ. საბჭოთა ხელისუფლება შენისთანა და ჩემისთანა მუშებს ეყრდნობა. როგორ თუ ზედმეტი კაცი ხარ, რას ამბობ?...

ბიჭოს, — ვიფიქრე, ეს რა კარგ ადამიანს წავაწყდი-მეთქი. საუბარი გაგვიგრძელდა და ბოლოს ვანო ხებრიელაშვილი გამომეცნაურა. როგორც ამ კედლის გაზეთის ერთერთი ხელმძღვანელი და მუშა - კორესპონდენტი. სახლშიაც კი მიმიწვია. მოდი ჩემთან, ერთად დავწეროთ წერილი კედლის გაზეთისათვის და შემდეგ, ბევრს რომ იმუშავებ, დამოუკიდებლად წერას მიეჩვევიო.

მეორე დღეს მივედი ხებრიელაშვილთან სახლში. დავჯექით ცალკე ოთახში და გავაბით საუბარი. ვუამბე ჩემი თავგადასავალი. ვუთხარი, თუ როგორ დავკარგე დედა, რა საშინელი ყოფილა ობლობა, რამდენი უბედურება ავიტანე შეგირდობისას და ბოლოს, გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილება ქარხანაში მუშაობაზე.

დიდხანს ვისაუბრეთ. მასპინძელმა მირჩია გამომეწერა „კომუნისტი" და გავმხდარიყავი მისი სისტემატური მკითხველი. ბოლოს დავიწყეთ წერა. თვითონ სწერდა და როცა მორჩა, მეორე წერილის დაწერა მე დამავალა. ხშირად წამაშლევინებდა ხოლმე დაწერილს. არა, ეგრე არ ვარგა, აი, ასე რომ ვთქვათ, ხომ უკეთესი იქნება? მართლაც ის რომ ამბობდა, ისე უკეთესი იყო. იმ დღეს ხებრიელაშვილი სადილითაც გამიმასპინძლდა. არ მინდოდა სადილად დარჩენა, მაგრამ უარი არ გამივიდა.

ხებრიელაშვილს ხშირად ვხვდებოდი. რამდენიმე დღის შემდეგ ვიყიდე საჩუქრები ბავშვებისათვის და გავუდექი გზას ხებრიელაშვილის ბინისაკენ. თან წავიღე... წარმოიდგინეთ, დამოუკიდებლად დაწერილი წერილი ჩვენს საამქროში რამდენიმე საწარმოო უწესრიგობის შესახებ. მივედი და ვუჩვენე ჩემს კეთილისმსურველს ეს წერილი.

— ყოჩაღ, — წამოიძახა ხებრიელაშვილმა. აი, ასე უნდა დასწერო, ასეთ საკითხებზე უნდა სწერო ხშირადო, მითხრა და მირჩია ეს ჩემი პირველი წერილი „კომუნისტში" მომეტანა. მარტო წასვლა ვერ გავბედე — დიდი გაზეთია, იქ ალბათ უცნაურად დიდი ნასწავლი ხალხია-მეთქი, ვუთხარი და ვთხოვე წამყოლოდა. წამომყვა.

ტრამვაი პროსპექტზე მიგვასრიალებდა და მე არ ვიცი რატომ, „დიდი ამბის" მოლოდინში ჟრუანტელი მივლიდა, მუხლები მეკეცებოდა.

აგერ რედაქციაც.

შეაღო ვანომ კარები, შევიდა, მიესალმა ყველას. უკან მე მივყვები. ვანოსაც მიესალმნენ

— ვანო, რა ახალი ამბავი მოგვიტანეო, — შეეკითხა მას სადაღ, მაგრამ სუფთად ჩაცმული კაცი.

— მე არაფერი. აგერ ახალი მუშკორი მოგიყვანეთ (ეს ჩემს შესახებ უთხრა). კარგი წერილი აქვს და ალბათ დაუბეჭდავთ.

უცნობმა მაგიდასთან მიგვიწვია, დასხედითო გვითხრა და წერილისათვის ხელი გამომიწოდა. წერილი გადავეცი. წაიკითხა—„აჰა", სთქვა მან და მომიბრუნდა. ამას დავბეჭდავთ, მაგრამ ერთის პირობით, თუ ხშირად მოგვიტანთ კიდევ სხვა წერილებს... ვიფიქრე სიზმარია, თუ ცხადი-მეთქი. როგორ არ მივუტანდი და, რა თქმა უნდა, წამსვე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. უცნობმა კარამდე მოგვაცილა.

მესამე დღეს ვნახოთ, „კომუნისტში" ჩემი წერილია. ქვემოთ ჩემი სახელი და გვარია მიწერილი: „მუშკორი **რ. არდემანაშვილი**". არ დარჩენილა კაცი ჩვენს საამქროში კი არა, მთელს ქარხანაში, რომ ეს წერილი არ წაეკითხოს. ერთ დღეში საყოველთაოდ ცნობილი კაცი გავხდი.

შემდეგ განუწყვეტლივ ვთანამშრომლობ „კომუნისტში", როგორც ერთერთი აქტიური მუშა - კორესპონდენტი. ამჟამად ვრედაქტორობ საამქროს კედლის გაზეთს, მრავალჯერ ვყოფილვარ დაჯილდოვებული, როგორც მუშკორი, როგორც საზოგადოებრივ მუშაობაში მოწინავე, აგრეთვე როგორც რაციონალიზატორი. თვით ჩვენს ქარხანაში უკვე განხორციელებულია ჩემი ექვსი რაციონალიზატორული წინადადება, რითაც ქარხანას რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომია მიეცა.

ამჟამად დასახელებული ვარ საქ. სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩვენი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად. აქტიურ მონაწილეობას ვიღებ არჩევნებისათვის მზადებაში.

ასეთი შედეგი მოჰყვა „კომუნისტის" რედაქციაში ჩემს პირველ მისვლას.

არა, ახლა ვიცი, რომ ზედმეტი კაცი არა ვარ. მე და მილიონობით ჩემისთანანი ვაშენებთ სოციალიზმს. ჩვენ საჭირონი ვართ ქვეყნისათვის, ხალხისათვის, სამშობლოსათვის. რა ბედნიერებაა, რომ ამას გრძნობ კაცი. მოდი და ნუ შეგიყვარდება სიცოცხლე, ბედნიერი და სამური სიცოცხლე!

რაჟდენ არდემანაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა სტახანოველი, „კომუნისტის" მუშკორი.

ჩვენი მუშკორები, მარცხნიდან: (ზევით) ნინო ეპიტაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, ი. ქებაძე, რ. არდემანაშვილი; (მეორე რიგში) შ. ჯიქიძე, ლ. ტაბატაძე, ო. გოგუაძე, ო. პატარაია; (მესამე რიგში) ბ. ათაბეგოვი, ბ .ალადაშვილი, ლ. იაშვილი, მ. საჯაია; (ქვევით) რ. ცხვედაძე, ა. ესიავა, თ. ბაიდაური, ს. მეტრეველი.

ფოტო რ. აკოფოვისა

„მალთაყვა"

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ახალი ორიგინალური ქართული ბალეტის დადგმა საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების დიად შესაძლებლობათა და უდიდესი ძალის ბრწყინვალე დემონსტრაციაა.

აქტუალურ თანამედროვე თემაზე ნაციონალური საბალეტო წარმოდგენის შექმნის ამ პირველმა ცდამ გაამართლა ყველა იმედები.

ბალეტ „მალთაყვას" ავტორებმა — კომპოზიტორმა შ. მ. თაქთაქიშვილმა და ლიბრეტისტმა გ. მ. თაქთაქიშვილმა სწორად გადასჭრეს საბჭოთა ბალეტის ძირითადი პრინციპი, როდესაც მთავარ ყურადღებას აქცევდნენ სიუჟეტის კანონზომიერ დრამატიულ განვითარებას. ბალეტი უმთავრესად შესდგება მიმიკური სცენებისაგან, იგი დატვირთული არ არის ცეკვებით, წარმოდგენა გადაქცეული არ არის, როგორც ეს ხშირად არის ხოლმე ძველ კლასიკურ ბალეტებში, უსიუჟეტო საცეკვაო დივერტისმენტად. ცეკვა „მალთაყვაში" ბალეტის ორგანიული და არა უმთავრესი ნაწილია. „მალთაყვას" ღირსება მდგომარეობს დრამატიულ მოქმედებაში, რომლის დროსაც შემსრულებლები გამოდიან სცენაზე არა მარტო როგორც მოცეკვავეები, არამედ როგორც აქტიორებიც.

ბალეტის მუსიკა შეიცავს ნაციონალური სასიმღერო და საცეკვაო მასალის დიდ რაოდენობას. კომპოზიტორს ჩინებულად დაუმუშავებია ხალხური თემები, ორკესტროვკაში დაუცავს ქართული მუსიკის კოლორიტი. ფრიად მეტყველია ლეიტ-მოტივები, ისინი ნათლად ახასიათებენ მთავარ მომქმედ პირებს, ხშირად ავსებენ სიუჟეტის აზრს. მუსიკალური მხრივ განსაკუთრებით კარგია მასობრივი დინამიკური ცეკვები („ლეკური", „მთიულური", შრომითი პროცესის ცეკვა) და ციალას სიზმარი, რომელიც, მართალია, რამდენადმე გაჭიანურებულია, მაგრამ ძალიან საინტერესოა თავისი კლასიკური ფორმებითა და ორკესტრული ფერებით.

ბალეტი „მალთაყვა" კომპოზიტორ შ. მ. თაქთაქიშვილის დიდი შემოქმედებითი მიღწევაა. ეს არის საუცხოოდ ჩაბარებული გამოცდა მომწიფებულ ოსტატობაზე.

შემსრულებლებს შორის პირველ ადგილზეა ციალას მთავარი როლის საუცხოო შემსრულებელი — დამსახურებული არტისტი ორდენოსანი ე. გვარამაძე. თანამედროვე ქალიშვილის ცოცხალი, დამაჯერებელი სახის შექმნა მეტად რთული ამოცანაა კლასიკური ქორეოგრაფიის საუკუნოვან ტრადიციებზე აღზრდილი ბალერინისათვის. გვარამაძემ ბრწყინვალედ დასძლია ეს ამოცანა, ამასთან გამოიჩინა დიდი აქტიორული ნიჭი და ცეკვის მაღალი ტექნიკა. ყველა საბალეტო მომენტს იგი ასრულებს ტემპერამენტით, მკაცრი რიტმით და მოხდენილად. თვითეულ ცეკვაში გვარამაძეს შეაქვს ბევრი გრძნობა და შინაარსი. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად იყო შესრულებული ციების ცეკვა, დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე სუსტად დადგმულ, მაგრამ შესანიშნავად შესრულებულ ცეკვას საწინააღმდეგო გრძნობებისას. როგორც ყოველთვის, გვარამაძე საუცხოოა „ლეკურში".

გვარამაძის ღირსეული პარტნიორი აღმოჩნდა ნიჭიერი ბალერინა ლ. ვოინოვა (მაია), რომელსაც ჩინებულად შეუთვისებია ქართული ცეკვის სტილი და ხასიათი. გულთბილად და უშუალოდ ასრულებს იგი ლირიკულ სცენას მონადირე კოსტასთან (ბარხუდაროვი) და განსაკუთრებული გრძნობით, ნამდვილი დრამატიზმით ასრულებს ცეკვას სამაჯურით.

სუსტი აღმოჩნდა გმირის — არხის მშენებლობის უფროსის — როლში ვ. ლიტვინენკო. მოცეკვავეს უმართებულოდ შეაქვს ქართულ ცეკვაში კლასიკური ევროპული ბალეტის ელემენტები. ლიტვინენკო კარგად ასრულებს მხოლოდ სიზმრის სცენას, სადაც მისი მდიდარი ტექნიკა საუცხოო და სავსებით მართებულ გამოყენებას პოულობს.

დინჯად, გაუზვიადებლად ასრულებს მონადირე კოსტას დამახასიათებელ როლს ბალეტის გამოცდილი არტისტი ორდენოსანი გ. ბარხუდაროვი.

საუცხოო საცეკვაო თვისებები გამოამჟღავნეს ბალეტის სოლისტებმა — მ. ბულიგინამ, ნ. ნადარეიშვილმა და ე. საფაროვამ. უკანასკნელი აქტის აფხაზურ ცეკვაში განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი ტემპერამენტულობით სოლისტი ვ. ბუშინსკაია.

მთლიანად ვერ დასძლია მავნებელ კირილეს სახე ივაშკინმა. იგი საკმაოდ კარგად ასრულებს მიმიკურ სცენებს, მაგრამ მისი სცენიური სახე სრულებით არ არის დამახასიათებელი კოლხიდის მცხოვრებისათვის.

როგორც კარგი შემსრულებლები დამახასიათებელი როლებისა უნდა აღვნიშნოთ სოლისტები ბაგრატიონი (დიტო), გოროშკო (წითელარმიელი) და ვენისი (დივერსანტი).

ყოველმხრივ მისასალმებელია საბალეტო სპექტაკლის დასადგმელად დრამის რეჟისორის, დამსახ. არტ. ა. ა. თაყაიშვილის მოწვევა. ეს საუცხოო, ყოველმხრივ გამართლებული ექსპერიმენტი პრეცედენტი უნდა გახდეს შემდეგი დადგმებისათვის.

სცენის გამოცდილმა ოსტატმა ა. ა. თაყაიშვილმა ჭეშმარიტი სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე გაშალა ნაწარმოების მთელი დრამატიული ქარგა და პირველ პლანზე სიუჟეტურობა წამოაყენა. იმის მეოხებით, რომ მიმიკური სცენები დეტალურად დამუშავებულია ყველასათვის გასაგებად, პანტომიმური ხასიათის მთელ სურათებს მაყურებელი შეუსუსტებელი ინტერესით ადევნებს თვალს. რეჟისორს განსაკუთრებული ოსტატობით დაუმუშავებია მავნებელთა დაპატიმრების სცენა და საფინალო ზეიმი. მართალია, მოქმედების მსვლელობაში ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლს (დიტოს არადამაჯერებელი ჩავარდნა კაშხალზე, შენობის სუსტად აფეთქება და სხვ.), მაგრამ ეს ადვილად ასაცილებელი ტექნიკური ნაკლია, რაც გავლენას არ ახდენს შინაარსის მთლიანობაზე.

სპექტაკლის საერთო წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მხატვარ თ. აბაკელიას მიერ საუცხოოდ შესრულებულმა დეკორაციებმა და კოსტუმებმა. განსაკუთრებით წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს გაფორმება სცენისა ზღვის ნაპირზე და საფინალო სურათი.

კავკასიური და ქართული ცეკვების დადგმაში დიდი მხატვრული გემოვნება გამოამჟღავნა ხელოვნების დამსახ. მოღვაწემ — ორდენოსანმა დ. ჯავრიშვილმა. ლიტვინენკოს დადგმებიდან უნდა აღინიშნოს ფანტასტიკური ცეკვები სიზმრის სცენაში.

მტკიცედ, ზუსტი რიტმით მიჰყავს ორკესტრი დირიჟორ ო. დიმიტრიადის.

ახალი ქართული ბალეტის „მალთაყვას" დადგმა თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დიდი გამარჯვებაა.

ვ. დ.

საქდესის განმარტება

ა/წ. 14 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებული იყო საქდესის ინფორმაცია სათაურით „დაშვებულ შეცდომებს ასწორებენ", სადაც ლაგოდეხის რაიკომის ყოფ. მდივანს ამხ. ა. რამიშვილს ბრალი ედებოდა პარტიიდან თვითნებურად და უსაფუძვლოდ პარტწევრკანდიდატების გარიცხვაში, აგრეთვე იმაში, რომ მისი დავალებით დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაცია დაიშალა და სხვ. ადგილზე შემოწმებამ გამოარკვია შემდეგი:

პარტიის რიგებიდან ნ. დვალის გარიცხვა არ დადასტურდა. ხუნდაძე გარიცხული იყო პირველადი პარტორგანიზაციის მიერ 1936 წელს—ორჯერ პარტბილეთის დაკარგვისათვის. ლაგოდეხის რაიკომმა მხოლოდ დაადასტურა ეს დადგენილება. ხაჩიძე და ნოზაძე კი პარტიიდან გაირიცხნენ რაიკომის მიერ გამოყოფილი კომისიის მასალების მიხედვით.

დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია ამხ. რამიშვილის დავალებით არ დაშლილა. პირიქით, იმავე პირველადი ორგანიზაციის დადგენილება ორგანიზაციიდან 3 კაცის გარიცხვის შესახებ რაიკომმა არ დაამტკიცა.

საქდესის ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ აგებული იყო ლაგოდეხის რაიონში საქდესის ყოფ. კორესპონდენტის მუმლაძის ცილისმწამებლურ მასალებზე. მუმლაძე მიცემულია პასუხისგებაში.

ფეხბურთი

ბაქო—თბილისი

3 მაისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შესდგა ბაქოს „ტემპისა" და თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის საწრთვნელი ამხანაგური მატჩი.

თამაში მოდუნებულად დაიწყო. არა ჩანს არცერთი გუნდის უპირატესობა. ბურთი უმთავრესად ცენტრში ტრიალებს.

ტაიმის შუაწუთებში თბილისელ ჯეჯელავას მიერ დარტყმული საჯარიმო ბურთი აილო ბაქოელების მეკარემ, მაგრამ ხელიდან გაუვარდა, მას მოუსწრო ბერეჟნოიმ და პირველი ბურთი მოაქცია „ტემპის" ბადეში.

თამაში გამოცოცხლდა. ბაქოელები თავგამოდებით იბრძვიან საპასუხო ბურთისათვის, მაგრამ ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ იცვლება.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელების სასარგებლოდ.

ს. გერგიძე

რადიო-ლექციები

პარტაქტივის მასობრივი დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება მაისში გადასცემს შემდეგ რადიო-ლექციებს:

5 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში გადაცემული იქნება პროფ. შესტაკოვის ლექცია თემაზე: „პეტრე პირველის რეფორმები და რუსეთის იმპერიის შექმნა" (ლექცია მეოთხე № 22). ქართულ ენაზე.

7 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში — ვ. ა. ბისტრიანსკის ლექცია „სტრატეგია და ტაქტიკა" (№ 12). ქართულ ენაზე.

9 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში—მ. ს. ვოლინის ლექცია — „ბოლშევიკების პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში" (1921—1925 წ.) ლექცია III, № 21. რუსულ ენაზე.

11 მაისს, იმავე ჯგუფისათვის—ემ. იაროსლავსკის ლექცია — „ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში" (1926—1929 წ.) ლექცია 1-ლი № 23. ქართულ ენაზე.

13 მაისს, იმავე ჯგუფისათვის—მ. ს. ვოლინის ლექცია — „ბოლშევიკების პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში" (1921—1925 წ.) ლექცია მე-4 № 22. რუსულ ენაზე.

15 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთათვის პროფ. შესტაკოვის ლექცია — „XVIII საუკუნის თავადაზნაურული იმპერია" (№ 16). ქართულ ენაზე.

17 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში—ემ. იაროსლავსკის ლექცია—„ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში" (1926—1929 წ.) ლექცია I, № 23. რუსულ ენაზე.

19 მაისს, იმავე ჯგუფისთვის იგივე ლექცია. ქართულ ენაზე.

21 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში — „პარტია" (ლექცია I, № 13). ქართულ ენაზე.

23 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში — პროფ. ა. ვ. შესტაკოვის ლექცია — „გლეხთა ომი პუგაჩოვის ხელმძღვანელობით". ქართულ ენაზე.

25 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში—ემ. იაროსლავსკის ლექცია — „ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში" (1926—1929წ.) ლექცია II, № 24. რუსულ ენაზე.

27 მაისს, იგივე თემა (ლექცია III № 25). ქართულ ენაზე.

29 მაისს, იგივე თემა (ლექცია III, № 25). რუსულ ენაზე.

31 მაისს, ორგანიზებულ მსმენელთათვის პროფ. ა. ვ. შესტაკოვის ლექცია—„ახალი მიწების დაპყრობა ეკატერინე II-ის მიერ. ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში. ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციასთან". ქართულ ენაზე.

ლექციების გადაცემა იწარმოებს საღამოს 7 საათზე.

„ვეფხის-ტყაოსანი" რუსულად

თარგმანი პროფ. შ. ნუცუბიძისა

პროფესორი შ. ნუცუბიძე რუსულ ენაზე სთარგმნის შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანს". პოემის საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე თარგმნილია.

5 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილი აწყობს პოემის ახალი თარგმანის განხილვას მთარგმნელი წაიკითხავს საკუთარი თარგმანის ნიმუშებს. ამასთან მოხდება ახალი თარგმანის შედარება „ვეფხის-ტყაოსნის" არსებულ თარგმანებთან.

განხილვაზე მოწვეული არიან ენათმეცნიერნი, პოეტები, მწერლები სხდომა შესდგება უნივერსიტეტის № 86 აუდიტორიაში, საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს: მუსა ალი ოღლის (ლაგოდეხი), მიტო არსენიშვილს (თბილისი), ამბროსი მერაბის-ძე კაპანაძეს (ქიათურა, სოფ. ჯალაურთა), ივანე აბრამის-ძე ციციშვილს (სიღნაღი), დავით ქიტესას-ძე თათრიშვილს (საგარეჯო), მამედ ნასიბან ოღლი მამედოვს (თბილისი), შაქრო სოლომონის-ძე ურიგაშვილს (თბილისი) და იოსებ თედორეს-ძე ბატიაშვილს (თბილისი) გამოცხადდნენ ამხ. ჯაფარიძესთან ხუთი დღის ვადაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

○

5 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა.

პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ 5 მაისს, საღამოს 7 საათზე, მე-109 სკოლის შენობაში (სარეწაო კოოპერაციის ქ. № 25) შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა.

პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1503589, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მიერ ზაქარია ივანეს-ძე გუშიჩაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 7 მაისს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა კლუბში შესდგება თათბირი, რომელზედაც აუცილებლად უნდა დაესწრონ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და პოლიტცოდნის წრეების პროპაგანდისტები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5/V — მუდმ. ადგ. ტალ. № 182 — ბალეტი მალთაყვა
6/V — ერთდრ. ტალ. № 3 — დღისით — სევილიელი დალაქი — დასაწყ. 12 საათზე.
6/V — მუდმ. ადგ. ტალ. № 183 — საღამოს — დაისი
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

5/V — წარმოდგენა 163 — შემოდგომის აზნაურები
6/V — წარმოდგენა 164 — შემოდგომის აზნაურები
8/V — წარმოდგენა 165 — სულელი
დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

5/V წარმ. № 165 — ვერაგობა და სიყვარული
6/V — დღის წარმოდგენა — ნაპერწკლიდან — დასაწყისი 12 საათზე.
6/V წარმ. № 166 — საღამოს — ფიგაროს ქორწინება

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 5 მაისს
სატირკო სანახაობა
განახლებული პროგრამით
სხვადასხვა საპისა და სხვადასხვა ხალხთა ჭიდაობის დემონსტრაცია
ჭიდაობს 30 წყვილი, აგრეთვე ფრანგ ჭიდაობის მატჩები.
ჭიდაობს 3 წყვილი
1-ლი—ბელიაევსკი—ბოგატირიოვი
მე-2—ბოროვსკი—გორდეევი
მე-3—ტიურინი—კენედი
დასაწყისი წარმოდგენისა 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა—10 ს. 30 წ.
6 მაისს—ორი წარმოდგენა დღისით.
დასაწყ. პირველისა—12 ს., მეორისა—2 ს.

სავალდებულო დადგენილება

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმისა

1938 წ. 19 აპრილი.

თბილისის ქალაქის ავტომატური ტელეფონის ქსელის ქონების გატაცება-დაზიანებისაგან დაცვის შესახებ.

თბილისის ავტომატური ტელეფონის ქსელის მიერ ქალ. თბილისის მოსახლეობის უკეთ მომსახურებისა და არსებული სატელეფონო გაყვანილობის აპარატურის დაცვის მიზნით თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ნება დაერთოს ქალაქ თბილისის ავტომატური ტელეფონის ქსელის სამმართველოს (ატს-ს) მოაწყოს ქალაქ თბილისში ტელეფონი-ავტომატები სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სავაჭრო დაწესებულებებში, სადაც ამას საჭიროდ დაინახავს.

2. სახლთა ყველა მმართველს, ყველა სახლთა მფლობელს და დაწესებულებათა ხელმძღვანელს, რომელთა ტერიტორიაზე გადის ატს-ის ხაზები, დაეკისროს პასუხისმგებლობა ატს-ის ქონების დაცვისა და მისი ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის. მათი დაუდევრობით ან უპასუხისმგებლო მოქმედებით ხაზების დაზიანება-გატაცების შემთხვევაში დამნაშავენი ვალდებული არიან აუნაზღაურონ ატს-ს მიყენებული ზარალი, გარდა ამისა, ისინი ამისათვის მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

3. დაევალოთ ქ. თბილისის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებს, რომელთა ტერიტორიაზე გადის ატს-ის ხაზები, როდესაც საჭიროა მათი გადატანა (ახალი მშენებლობა, შეკეთება, დაშენება და სხვა) აცნობონ ამის შესახებ ატს-ის სამმართველოს.

4. დაევალოს ატს-ის ყველა აბონენტს და დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელს, სადაც დადგმულია ტელეფონები და აგრეთვე ტელეფონი-ავტომატები, არ დაუშვან არავინ რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, უკეთუ არ ექნებათ ატს-ის მიერ მიცემული რწმუნების ბარათი.

5. დაევალოს ატს-ის დირექციას ტელეფონით ხულიგნობის და ანტისაბჭოთა მოქმედების აღსაკვეთად გამოურთოს აპარატი იმ აბონენტს, საიდანაც იქნება დაშვებული ხულიგნობა (ლანძღვა, გინება და სხვ.) ან და გადაახდევინოს მას ჯარიმა 50 მან. რაოდენობით.

6. ატს-ის ყველა აბონენტი ვალდებულია ატს-ის ქონების გაფუჭების, გატაცების, ტელეფონის აპარატის თვითნებურად ადგილიდან ადგილზე გადატანის ან წერტის დამატების შემთხვევაში აუნაზღაუროს ატს-ის სამმართველოს მისთვის მიყენებული ზარალი.

7. თბილისის ყველა მოქალაქეს და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ევალებათ მათ დაწესებულება-წარმოებებში და ბინებში არსებული უმოქმედო ტელეფონის აპარატები დაუყოვნებლივ ჩააბარონ ატს-ს.

8. ქ. თბილისის მილიციას ევალება თვალყური ადევნოს იმ ადგილებს, სადაც მოწყობილია ტელეფონი-ავტომატები და ატს-ის სხვა გაყვანილობანი და აღმოუჩინოს სათანადო დახმარება საჭირო შემთხვევებში ატს-ის წარმომადგენლებს და დაწესებულებათა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

9. ამ დადგენილების სწორად შესრულებისათვის თვალყურის დევნება ევალებათ თბილისის ქალაქის მილიციის ორგანოებს, ატს-ის სამმართველოს და რაისაბჭოსთან არსებულ ადმინისტრატიულ კომისიებს, რომელთაც აქვთ უფლება ამა დადგენილების დამრღვევი პირები და ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელები დააჯარიმონ ას მანეთამდე.

10. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბ. საბჭოს თავმჯდომარის მოვ ალმსრ. **გვიშიანი**

თბ. საბჭოს პ. მგ. მდივანი **შარაშიძე**

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88 განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40.
მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ მდივნის—3—26—67, გამომცემლობის 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 373